საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 22-24 ივლისი. 2022 წ. №99-100 (9437-9438) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ვაშინგტონი თითს გვიქნევს!

დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ თავდასხმა ამერიკის ელჩზე!

ნედ პრაისი: ჩვენ ვმუშაობთ მხარდამხარ 30 წელია...

...ელჩი დეგნანი, მისი გუნდი და თბილისში ჩვენი საელჩო მოწადინებულია, იმუშაონ ქართველ ხალხთან და მხარი დაუჭირონ საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. ელჩ დეგნანს აქვს ჩვენი სრული მხარდაჭერა.

დეზინფორმაცია და პერსონალური თავდასხმები ელჩ დეგნანზე ან მის გუნდზე არ შეესაბამება ჩვენს პარტნიორებს შორის არსებულ კომუნიკაციას და ჩვენ გავაგრძელებთ ფოკუსირებას ჩვენი საერთო მიზნების მხარდაჭერაზე.

ჩვენ ვმუშაობთ მხარდამხარ 30 წლის განმავლობაში დემოკრატიული რეფორმების, ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების თანამშრომლობის მიმართულებით და ეს რჩება უცვლელი!

„ეს არის ისეთი ხელისუფლების ნიშანი, რომელიც თავს გასაჭირში საფრთხეში გრძნობს და რომელიც არც ისე ბრძენია“, – ასე აფასებს საქართველოს მთავრობისა და მმართველი პარტიისგან ცოტა ხნის წინ გამოყოფილი წევრების მიერ ამერიკის ელჩისა და დასავლელი დიპლომატების მიმართ კრიტიკის ნაკადს ყოფილი ამერიკელი დიპლომატი ჯონ ჰერბსტი. ვაშინგტონში საქართველოს მთავრობას მოუწოდებენ შეწყვიტოს ამერიკის ელჩის კრიტიკა და პოლიტიკური ოპონენტების დასუსტების მცდელობის პარალელურად, ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესი შეუქცევადად არ დააზიანოს.

„ძართული ოცნების“ წარმომადგენლებს უნდა ესმოდეთ, რომ როდესაც ისინი თავს ესხმიან ამერიკის ელჩს, ისინი ესხმიან თავს ამერიკის პრეზიდენტსა და ამერიკის მთელი მთავრობის წარმომადგენელს“, – ამბობს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი და ჯორჯ ბუშის საპრეზიდენტო ცენტრის გლობალური პოლიტიკის დირექტორი **დეივიდ კრამერი** „ამერიკის ხმასთან“ საუბრისას.

მისი თქმით, **„ელჩი საუბრობს კრიტიკულად, როგორც საქართველოს მეგობარი, მაგრამ ის ასევე წარმოადგენს ამერიკის მთავრობას. „ქართულმა ოცნებამ“ კი მისი კრიტიკისა და მასზე თავდასხმის ნაცვლად, მკაფიოდ უნდა დაინახოს, ვინაა მისი მტერი. ეს ნამდვილად არ არის ამერიკა ან მისი ელჩი“.**

ბოლო კვირების განმავლობაში საქართველოს მმართველი გუნდისა და მისგან სულ ცოტა ხნის წინ გამოყოფილი დეპუტატების მხრიდან ამერიკის ელჩის კელი დეგნანის მიმართ არაერთი კრიტიკული განცხადება გაისმა. ელჩს რამდენჯერმე მოუხდა იმის განმარტება, რომ შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობაზე ან ამის მსურველი ძალების მხარდაჭერაზე საუბარი სრულიად აბსურდულია. დეგნანმა მის მიმართ კრიტიკულ წერილს ტყუილებითა და კონსპირაციებით სავსე“ უწოდა. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ დეგნანის პასუხი შეაფასა და თქვა, რომ ელჩის რეაქცია „დასანანი და პარლამენტისთვის და სახელმწიფოსთვის შეურაცხმყოფელი“ იყო. დეგნანმა ამ „პასუხის პასუხის“ შემდეგ, საქართველოს მთავრობას ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებისკენ მოუწოდა.

„ის, რომ ამერიკა საქართველოს ომში ჩათრევას ცდილობს, სრული აბსურდია. არავის სურს, რომ ომის მასშტაბი გაფართოვდეს და საქართველო ან რომელიმე სხვა ქვეყანაც მოიცვას. ამავე დროს, ძალიან უხერხულია იმის ნახვა, რომ საქართველოს მთავრობა და „ქართული ოცნება“ აკრიტიკებს უკრაინის მთავრობის წარმომადგენლებს იმაზე მეტად, ვიდრე რუსეთის მთავრობას“, – ამბობს კრამერი. მისი აზრით, ამერიკის ელჩსა და დასავლელ პარტნიორებს „ქართული ოცნება“ ამ დრომდეც აკრიტიკებდა, თუმცა ახლა როგორც ჩანს, „რიტორიკა მძიმდება“.

„ვფიძრობ, ეს ასახავს საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში არსებულ ძალიან შემაშფოთებელ ტენდენციას, რომელიც ნამდვილად ფსკერს აღწევს. მე მაწუხებს ის, რომ „ქართული ოცნების“ ოფიციალური პირები ვერ აანალიზებენ, რომ ამერიკა მათი საუკეთესო მეგობარია და ამერიკის ელჩზე თავდასხმა ერთდროულად ძალიან შეუფერებელი საქციელიცაა და ძალიან არაგონივრულიც“, – მიიჩნევს კრამერი.

იხ. 6 გვ.



იხ. 2 გვ.

23 ივლისი პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღეა

ზვიად გამსახურდიას მოღალატური სიკვდილით ამაღლებული სოფელი

7

ვიქტორ რცხილაძე: საქართველო გმინავს ევროკავშირის დიქტატის ქვეშ

3

მთავარი პასუხი დიქტატურის შესახებ

ვინ გააქსუა და გაალორა სოსო გოგაშვილი?!

3

23 ივლისი პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღეა

● XX საუკუნის ბოლოს საქართველოს მეტ-ნაკლებად გააჩნდა ყოველივე, რაც იმ დრომდე კაცობრიობამ შექმნა, გარდა კოსმოსური ობიექტისა.

● 1999 წლის 23-28 ივლისს, ღია კოსმოსურ სივრცეში წარმატებით გაიშალა და გამოიცადა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი, რომელიც 28 ივლისს ჩამოსცილდა კოსმოსურ სადგურს და დაიწყო მოძრაობა დამოუკიდებელ ორბიტაზე.

● ამ მოვლენამ საქართველოში დროის ათვლის კიდევ ერთი საწყისი გააჩინა, როდესაც ქართული ხელთქმნილი ნაკეთობა პირველად გასცდა დედამიწას და გავიდა უკიდეგანო კოსმოსში.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის კონსტრუირების პრინციპები და სრულმასშტაბიანი გამოცდების ტექნოლოგიური ციკლები დამუშავდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის სასტენდო კომპლექსში, რომელიც მცხეთასთან, არაგვის ველზე მდებარეობს და რომელსაც XX საუკუნის ბოლოს, მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნდა. საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკურმა ბაზამ და პოტენციალმა, საქართველოში განაპირობა სხვადასხვა ორგანიზაციისა და კომპანიის – „DAIMLER BENZ AEROSPACE“, „ENERGIA“, „GREAM“, „ALENIA SPAZIO“, TECHNICAL UNIVERSITY OF MUNICH, ESA, „EOS DATA ANALYTICS“ – შეკვეთებით, ახალი თაობის კოსმოსური დიდგაბარიტიანი კონსტრუქციების შექმნა, რომელთა ნაწილი გატანილია კოსმოსურ ორბიტაზე და 48 მეტრი სიგრძის, მრავალჯერადი გამოყენების, სწრაფად ასაგები სამხედრო ხიდის დაპროექტება და დამზადება.

● პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – გასაშლელი რეფლექტორი მაქსიმალური გაბარიტით 6,42 მეტრი, შეიქმნა – დაპროექტდა, დამზადდა და წინასაფრენოსნოდ გამოიცადა საქართველოში, საქართველოს მოქალაქეების მიერ.

– კოსმოსური ობიექტის პროექტი დამუშავდა საქართველოში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

– კოსმოსური ობიექტის საფრენოსნო და სარეზერვო ეგზემპლარები დამზადდა თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანებაში, სადაც ასევე ჩატარდა მათი საქარხნო გამოცდები.

– ობიექტის საფრენოსნო ეგზემპლარი, დაკეცილი სატრანსპორტო პაკეტის სახით, მომზადდა და გაიგზავნა “ბაიკონურის“ კოსმოდრომზე, სადაც იგი განათავსეს კოსმოსურ ხომალდში.

– კოსმოსური ობიექტის სარეზერვო ეგზემპლარის წინასაფრენოსნო გამოცდები ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კოსმოსური ტექნიკის სასტენდო დარბაზში.

● პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორია საქართველოში კოსმოსური და მიწისზედა ტრანსფორმირებადი ნაგებობების სამეცნიერო-ტექნიკური დარგის დამაარსებელი, აკადემიკოსი, გენერალ-მაიორი ელგუჯა მემმარიაშვილი.

● 1999.16.VII – რაკეტა-მატარებელმა, კოსმოსური ხომალდის ორბიტაზე გასაყვანად, რომელშიც განთავსებული იყო რეფლექტორის დაკეცილი, სატრანსპორტო პაკეტი, სტარტი აიღო კოსმოდრომ „ბაიკონურიდან“.

● 1999.18.VII – კოსმოსური ხომალდი შეუპირაპირდა ორბიტულ სადგურს.

● 1999.19.VII – კოსმოსური გასაშლელი რეფლექტორის დაკეცილი პაკეტი, დიამეტრით 0,6 მეტრი, სიმაღლით 1,2 მეტრი და მასით 34 კილოგრამი, კოსმონავტებმა კოსმოსური ხომალდიდან გადაიტანეს მსოფლიოში იმ დროს არსებულ ერთადერთ ორბიტულ სადგურზე.

● 1999 წლის 23-28 ივლისს, ღია კოსმოსურ სივრცეში, ორბიტულ სადგურზე, საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის მიერ დამუშავებული გეგმის შესაბამისად, გაიშალა და გამოიცადა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი.

● პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გამოცდების წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1999 წლის 28 ივლისს, რეფლექტორი ჩამოსცილდა კოსმოსურ სადგურს და დაიწყო მოძრაობა დედამიწის ირგვლივ დამოუკიდებელ ორბიტაზე.

● პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანიდან 23 წლის შემდეგაც, ევროპულ კოსმოსურ სააგენტო ESA-ში, გაერთიანებული სახელმწიფოებისათვის მიუღწეველია კოსმოსში გაყვანა და წარმატებული გაშლა დიდგაბარიტიანი კოსმოსური რეფლექტორისა, რომლის მაქსიმალური ზომა შეადგენს 6,42 მეტრს.

● პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანის და წარმატებული გამოცდის თარიღი და მისი განხორციელების ფაქტი შეტანილია კოსმოსის ათვისების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ქრონიკათა ჩამონათვალში.

● საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით აღინიშნა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შემქმნელებისა და კოსმოსში ჩატარებული ექსპერიმენტის მონაწილეების ღვაწლი.

● გამოიცა საფოსტო მარკები, რომლებზეც გამოსახულია ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი ორბიტულ სადგურზე და ღია კოსმოსურ სივრცეში ფრენის დროს.

● საქართველოში ყოველი წლის 23 ივლისი დაწესდა „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღედ“, როდესაც ქართული ხელთქმნილი ნაკეთობა პირველად გასცდა დედამიწას და გავიდა კოსმოსურ სივრცეში.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანიდან 23 წლის შემდეგაც, ევროპულ კოსმოსურ სააგენტო ESA-ში, გაერთიანებული სახელმწიფოებისათვის მიუღწეველია კოსმოსში გაყვანა და წარმატებული გაშლა დიდგაბარიტიანი კოსმოსური რეფლექტორისა, რომლის მაქსიმალური ზომა შეადგენს 6,42 მეტრს.

მთავარი პასუხი დიქტატურის შესახებ

საქართველო გმინავს ევროკავშირის დიქტატის ქვეშ

წინამდებარე წერილის დაწერა გამოიწვია მეგობრის დარეკვამ, რომელმაც წაიკითხა „საქართველოს რესპუბლიკის“ 11-12 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული ჩემი წერილი – „ქრისტიანის პოზიცია დღევანდელ ვითარებაში“ და შემდეგი კითხვები დამისვა:

1. როგორ წარმოგიდგენია დიქტატურის დროს ცხოვრება, ანუ რას მოიმოქმედებს დიქტატურა?

2. ვინ უნდა განახორციელოს, ანუ საქართველოში საზოგადოების რომელმა ჯგუფმა უნდა დაამყაროს დიქტატურა?



ვფიქრობ, მსგავსი კითხვები ბევრს აღეძვრება, ვინც წაიკითხა აღნიშნული წერილი და ამიტომ, სავალდებულოდ მივიჩნევ მათზე პასუხის გაცემას.

წინა წერილში ხაზგასმით მძღნდა აღნიშნული, რომ „ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა ჩვენთან აშკარად კრიზისული მომენტის დადგომამ“. ახალს არაფერს ვიტყვი, თუ ყურადღებას გავამახვილებ ჩვენთან არსებულ საშინელ ეკონომიკურ სიდუხჭირეზე, რაც მიზეზი გახლავთ ჩვენი მოსახლეობის მასობრივად უცხოეთში გადინებისა, „ლუკმა პურის საშოვნელად“. მაგრამ კრიზისს უფრო დიდი ბორტეგა ახლავს თან, რომელსაც თავს გვახვევს დასავლეთის გლობალისტური მმართველობა თავისი ე. წ. „ლიბერალური ფასეულობებით“, ანუ გახრწნილების პროპაგანდით (თავისი ე. წ. გეი-აღლუმებიანად) და, ამასაც არ სჯერდება, ცდილობს, ამა თუ იმ ფორმით ჩაგვითრიოს რუსეთთან ომში.

ამ დროს კი რა ხდება პარლამენტში? ციხეში ჩასაყრელი ხალხი – „ნაცები“, ძალზე აქტიურობენ და უმრავლესობისგან ისმის მხოლოდ: „საკომიტეტო მოსმენა“, „საჭიროა შეხვედრა და მშვიდი განსჯა“ და მისთ... ამ ფონზე ჯიუტად მახსენდება კარლ შმიტი, დიდი სამართალმცოდნე და ფილოსოფოსი, რომლის შეფასებითაც, მე-20 საუკუნის პარლამენტარიზმი წარმოადგენს ლიბერალური მეტაფიზიკის გამოხატულებას და, იმავდროულად, დაცემას. თვით ისეთი აშკარა, ირონული კითხვით აღნიშნავს შმიტი, როგორიცაა „ქრისტე თუ ბარაბა“, როდესაც პარლამენტში დაისმის, ნათელ პასუხს ვერ ღებულობს და ნაცლად ამისა, ითხოვენ მის საკომიტეტო მოსმენას, სხდომაზე გატანას და ა. შ.; ხოლო „დიქტატურა – დისკუსიის საწინააღმდეგოა“, – აღნიშნავს იგივე შმიტი (იხ.: კარლ შმიტი, „თანამედროვე პარლამენტარიზმის სულიერ-ისტორიული მდგომარეობა“, ფილოსოფიურ-პოლიტიკური კრებული, №2, თბ., 2021; იხ. აგრეთვე: „პოლიტიკური თეოლოგია“, ფილოსოფიურ-პოლიტიკური კრებული №1, თბ., 2020).

აქ ძალაუნებურად მახსენდება ნიკოლაი ლოსკის სპენსერის „ეთიკის საფუძვლების“ კრიტიკა, სადაც იგი ამბობს: “ქცევის გართულებასა და სრულყოფილებას იგი ყოველთვის ხსნის, როდესაც ეყრდნობა მხოლოდ გამოცდილების დაგროვებას და წარმოდგენების ასოციაციურ კანონებს, ე. ი. მეხსიერების კანონებს და სრულიადაც არა, ნებას, როგორც მიზანმიმართულ აქტივობას“ (Н. О. Лосский, Условия Абсолютного Добра, М: 1991, стр. 31).

აბულია ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე გახლავთ, რომელიც გამეფებულია „ოცნების“ წევრებში. ამიტომ მომეწონა მე-19 საუკუნის ესპანელი დიპლომატისა და არისტოკრატის სიტყვები, რომლებიც მოვიტანე წინა წერილში – „დიქტატურა ... სასარგებლო მმართველობაა“.

დღეს ტრადიციული საძართველო გმინავს ლიბერასტული ევროკავშირის დიქტატის ქვეშ. მახსოვს, ევროკავშირში მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ რატომ უნდა განვიხილოთ ქრისტიანობა ჩვენს წარსულად და საფუძვლად, ძველბერძნული კულტურა ხომ ისეთივე ჩვენი წარსულია და საფუძველი, რომელზედაც ვდგავართო?! ევროკავშირისთვის შემოიღეს ჰიმნი - ბეთჰოვენის ძორო მე-9 სიმფონიის მე-4 ნაწილიდან და უცოდინარეებმა არ უწყოდნენ, რომ ეს ნაწილი მთლიანად ქრისტიანობის ჰიმნია (იხ.: О. В. Тупицын, Чайковский, Бетховен, Вагнер, Христианское восприятие и истолкование музыкальных произведений. М. 2000).

ახლა ჩვენს „ფრანგ“ პრეზიდენტს მივმართავ: ხომ კარგი ვითარებაა, ქ-ნო სალომე?

მთელი ლიბერალური სისტემა მძაფრად და საქმის ცოდნით გააკრიტიკა ჩვენგან უდროოდ წასულმა, შესანიშნავმა ფილოსოფოსმა გორჩა გვასალიამ. ყველას ვურჩევ, წაიკითხონ ახლად დაბეჭდილი კრებული – „იმპერია. ისტორიულ-ფილოსოფიური გააზრება. ნაშრომთა კრებული. თბ.: 2022 – იყიდება რუსთაველის გამზირზე, №16-ში).

აი ასე, ლიბერალიზმისგან ხსნა, ჩემი აზრით, დიქტატურის დამყარებაში მდგომარეობს. როგორ წარმომიდგენია ასეთი დიქტატურა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩემს ოცნებისეულ სურვილს განვიხილავ და ისევ კარლ შმიტს მივმართავ. თავის წერილში „ქრისტიანული იმპერია, როგორც შემაკავებელი ძალა (kat-echon)“, იგი წერს:

„ქრისტიანული იმპერიისთვის არსებითი ის არის, რომ იგი არ წარმოადგენს მარადიულ სამეფოს, არამედ აცნობიერებს თავის მოსალოდნელ დასასრულსა და მისი თანამედროვე ეონის დასასრულს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლია, იყოს ისტორიული ძალა. მისი, როგორც ისტორიული ძალის მუდმივობის გადამწყვეტი ცნებაა შემაკავებელი ძალის – კატეხონის (kat-echon) ცნება. „იმპერია“ აქ ნიშნავს ისტორიულ ძალას, რომელსაც აქვს უნარი, ანტიქრისტე და თანამედროვე ეონის დასასრულის მოსვლა შეაკავოს, აიცილოს. ძალა, qui tenet („რომელიც აკავებს“), პავლე მოციქულის მიხედვით (მეორე თესალ., 2,7)“ (იხ. ზემოთ ნახსენები კრებული „იმპერია. ისტორიულ-ფილოსოფიური გააზრება“, გვ. 190).

ხომ არ დადგა დრო, რომ წარმართულ დასავლეთში გადარჩენილმა ჯვაროსნებმა და ჩვენც, ცოდვაში ჩაძირულმა ძართველებმა, მხსნელად მოვუხმოთ დავით IV აღმაშენებელს, დასავლეთის ზმანებისეულ „იოანე ხუცესს“? (ამ უკანასკნელ თემაზე იხ. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, თბ. 1989, გვ. 108).

ახლა განვიხილოთ მეორე საკითხი, კერძოდ, თუ ვინ, ანუ საზოგადოების რომელმა ჯგუფმა, უნდა განახორციელოს და დაამყაროს დიქტატურა? ზემოთქმულიდან გამომდინარე, პასუხი ნათელია – მათ, ვინც ღმერთს არ გმობს, სიტყვით და საქმით არ ებრძვის ქრისტიანობასა და ეკლესიას.

ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის ერთი რამეც ცხადია: აქ ვერ დამყარდება დიქტატურა, თუ იგი მხარდაჭერილი არ იქნება დიდი სახელმწიფოსგან, ოღონდ იგი უნდა იყოს ჩვენი ტრადიციების პატივისმცემელი და არა მათი მომსპობი.

ვიქტორ რცხილაძე

სავარაუდოა, რომ ზოგიერთი ქვეყნები, რომლებიც საკუთარ გავლენას უზრუნველყოფდნენ საქართველოში, იფარავდნენ გოგაშვილს...

ვინ გააქსუა და გაალორა სოსო გოგაშვილი?!

საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი სოსო გოგაშვილს შეხვდა. დაკავებულთან ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება, მოწმის სახით გამოკითხვა. დანიშნულია მის მიმართ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა და ექსპერტის წინაშე პირადად არის წარმდგარი. გამომძიებელთან ერთად პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებოდა დაკავებულის ადვოკატიც. რამაზ ჩინჩალაძე ამბობს, რომ გოგაშვილმა გამომძიებლებს მიაწოდა ინფორმაცია დაკავების შესახებ და განუცხადა, რომ მას იარაღი და ინფორმაციის მატარებელი მეხსიერების ბარათი ჩაუდეს.

„ინფორმაციის მიწოდება მოხდა დაზიანებებთან, დაკავებასთან, იარაღის ჩადებებთან დაკავშირებით და ასევე, ე.წ. ფლეშკებისა და სხვა ელექტრომატარებლების ჩადებასთან დაკავშირებით მის საცხოვრებელ სახლში.

იხ. 5 გვ.

მწვანე ნარგავების ხელყოფა: ჯარიმა გაათმაგდა!

დედაქალაქის **მერის, კახა კალაძის განცხადებით, პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი, რომელიც, მწვანე ნარგავების დაზიანების ან თვითნებურად გაჩეხის შემთხვევაში, ასევე, მოვლა-აღდგენის წესების დარღვევისთვის ჯარიმების გამკაცრებას ითვალისწინებს.**

როგორც მან თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, მსგავსი დარღვევებისთვის, პირველ შემთხვევაში, ჯარიმა, 500 ლარის ნაცვლად, 5 000 ლარი იქნება, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, 1 000 ლარის ნაცვლად, 10 000 ლარი.

„არაერთხელ გვითქვამს, რომ დედაქალაქში მწვანე ნარგავების მოვლა, შენარჩუნება, მათი განახლება ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ბოლო წლებში, 2017 წლიდან დღემდე, საზოგადოება ხედავს, თუ რამდენი კარგი პროექტი განხორციელდა ამ მიმართულებით. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას, რადგან ჯანსაღი და მწვანე გარემო პირდაპირ აისახება ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. გვაქვს ბევრი შემთხვევა, როდესაც ჯანსაღ ხეებს ჭრიან, მიზანმიმართულად აზიანებენ, რომ შემდეგ მშენებლობა დაიწყონ. პარლამენტს წარვუდგინეთ კანონპროექტი, რაც ითვალისწინებს მწვანე ნარგავების დაზიანების ან თვითნებურად გაჩეხის შემთხვევაში, ასევე, მოვლა-აღდგენის წესების დარღვევისთვის ჯარიმების გამკაცრებას. კერძოდ, პირველ შემთხვევაში, ჯარიმა იქნება 5 000 ლარი (ნაცვლად დღეს არსებული 500 ლარისა), ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, ჯარიმა იქნება 10 000 ლარი (ნაცვლად დღეს არსებული 1 000 ლარისა). ამავე კანონის მიხედვით, პირი, რომელიც მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გასცემს არასწორ დასკვნას, დაჯარიმდება 10 000 ლარის ოდენობით პირველ ჯერზე, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, შეიძლება ლიცენზია ჩამოერთვას და საქმიანობა აეკრძალოს“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, თბილისის მერიამ მსგავსი ცვლილებების პროექტით საქართველოს მთავრობასაც მიმართა და დედაქალაქში შენობა-ნაგებობის განთავსება საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილზე, სადაც მწვანე ნარგავების უნებართვო განადგურება მოხდა, დაუშვებელი იქნება.

ბათუმის ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზარდა!

ბათუმის ბიუჯეტი 38 მილიონ 252 ათასი ლარით გაიზარდა, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია ორი კომპონენტით. ერთი, საკუთარი შემოსავლების ზრდით, რომელიც 34 მილიონ ლარზე მეტია და მეორე, კაპიტალური ტრანსფერით, რომელიც 4 მილიონ ლარს შეადგენს და მიმართულია მუნიციპალური ავტოპარკის განახლებისკენ, — ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ბიუჯეტში მკვეთრად განსაზღვრულია ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებები.

ყველა კომპონენტში გვაქვს მნიშვნელოვანი სიახლე, როგორც ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით, ასევე ჯანდაცვისა და სოციალურ ნაწილში, სადაც 5 უმნიშვნელოვანესი ღონისძიება დაემატა.

რაც შეეხება სპორტის მიმართულებას, ბოლო პერიოდში, ბათუმში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა, რომელმაც უდიდესი წარმატება მოუტანა როგორც ჩვენს სპორტსმენებს, ასევე ქალაქს. შესაბამისად, დაფინანსება გაეზარდა სპორტულ კლუბებს, რათა განვითარების მეტი შესაძლებლობა მიეცეთ მათ.

საბიუჯეტო ცვლილებები არის საკმაოდ მასშტაბური, რასაც შეაფასებენ ჩვენი თანაქალაქელები. ბათუმში ტურიზმის სეგმენტის აღდგენა, გაუმჯობესება და ეკონომიკური აქტივობის გაზრდა საბიუჯეტო შემოსავლების ნაწილზე ეფექტურად აისახა. ყველა ის ცვლილება, რაც ბიუჯეტში განხორციელდა, არის თითოეულ ბათუმელზე მორგებული.

თბილისიდან — შტუტგარტამდე

გერმანულმა დაბალბიუჯეტიანმა ავიაკომპანია Eurowings-მა შტუტგარტიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გვიან ღამით პირველი პირდაპირი რეგულარული რეისი შეასრულა. ავიაკომპანია შტუტგარტი-თბილისი-შტუტგარტის საჰაერო ხაზზე კვირაში ორი სიხშირით, AIRBUS A320 ტიპის საჰაერო ხომალდით იოპერირებს. პირველ რეისს შტუტგარტიდან 155 მგზავრი ჩამოჰყვა.

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორის, თამარ არჩუაძის განცხადებით, ავიაკომპანია Eurowings-თან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი ავიამიმოსვლის დაწყებისა და მიმართულებების გაზრდის მიზნით 2017 წლიდან აქტიურ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა.

„მოხარული ვართ, რომ ავიაკომპანია Eurowings-მა საქართველოს ავიაბაზარზე ოპერირების არეალი გაიფართოვა. დიუსელდორფის შემდეგ ავიაკომპანიამ ოპერირება თბილისის მიმართულებით გერმანიის კიდევ ერთი ქალაქიდან, შტუტგარტიდან დაიწყო. საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას ავიაკომპანიასთან მრავალეტაპიანი მოლაპარაკებები გვქონდა ფრენების დაწყებისა და მიმართულებების დამატების თაობაზე. ნაყოფიერი მოლაპარაკებები გვქონდა ასევე, საავიაციო ფორუმ Routes Europe2022-ის ფარგლებში. რის შედეგადაც, ავიაკომპანიამ გადაწყვეტილება მიიღო, 2022 წლის ზაფხულიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კიდევ ერთი მიმართულება დაემატებინა“, — განაცხადა თამარ არჩუაძემ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ!

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲡ 60 000 ᲢᲝᲜᲐ ᲗᲮᲘᲚᲡ? ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲯᲐᲜᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛ 1500 ᲚᲐᲠᲘ ᲐᲥᲕᲗ!

ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘᲐ

საძართველოში **თითქმის არ არის დარჩენილი სფერო, სადაც კადრების დეფიციტის პრობლემა არ იდგეს. რაც დრო გადის, იგი უფრო მწვავდება. უკვე საუბარია უცხოეთიდან სამუშაო ძალის შემოყვანაზეც.**

თხილის სეზონის დაწყებამდე სულ რამდენიმე კვირა დარჩა. თხილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე, **მერაბ ჭითანავა** კი აქედანვე ამბობს, რომ სამუშაო ძალის დეფიციტია. ამ პრობლემამ ჯერ კიდევ შარშან იჩინა თავი. მოსავლის აღების პროცესში სეზონური მუშახელის შოვნა ძალიან ჭირდა და უპრეცედენტოდ მაღალი ფასიც იყო.

„სამუშაოები მოცვის პლანტაციებმა გაზარდა რეგიონში. იმედი გვაქვს, რომ მოცვის მოსავალთან დაკავშირებული სამუშაოები თხილის მოსავლის აღების დაწყებამდე დასრულდება. უკვე გვყავს მობილიზებული ჯგუფები, რომლებიც მოსავლის აღებაზე იმუშავებენ. თუმცა, მიუხედავად ამისა, დეფიციტი მაინც არსებობს, რაც ბოლო წლებში მოსავლის ნათესი ფართობების ზრდამ განაპირობა.

ვცდილობთ, აღმოსავლეთ საქართველოდან ჩამოვიყვანოთ სამუშაო ძალა მოსავლის აღებისთვის. მზადება უფრო ინტენსიურად მომავალი კვირიდან დაიწყება. გასულ წელს, ჩვენ უპრეცედენტოდ მაღალი ფასი გადავიხადეთ მოსავლის აღებაში, თუ წელსაც იგივე ფასებით გაგრძელდა, ფერმერებს ძალიან გაუჭირდებათ. იმედია, წელსაც ასეთი ძვირი არ დაგვიჯდება მოსავლის აღება“..

2022/23 წლის სეზონზე საქართველო მინიმუმ 55 ათას ტონა ნაჭუჭიან თხილს აწარმოებს და იდენტური მაჩვენებლით ჩილეს, ჩინეთისა და აზერბაიჯანის დონეზე, მე-7 ადგილზეა. თუმცა მიმდინარე სეზონიდან დარჩენილი 5 ათასი ტონის დამატებით საქართველოს მთლიანი მიწოდება 60 ათასი ტონა იქნება, რითაც ქვეყანა წამყვანი სამეულის შემდეგ მეოთხე ადგილს იკავებს. რაც დრო გადის, მუშახელის დეფიციტი სხვადასხვა დარგში სულ უფრო შესაჩნევია. კადრების დეფიციტზე საუბრობს ყველა ბიზნესი, სადაც ბრუნვა და მოთხოვნა გაზრდილია. მაგალითად, რესტორატორები სექტორში კადრების დეფიციტზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით პოსტპანდემიურ პერიოდში გამწვავდა, მას შემდეგ, რაც ტურიზმის აღდგენა დაიწყო და სარესტორნო ბიზნესი გამოცოცხლდა. დღესაც სექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თუ ვითარება არ შეიცვალა, ბიზნესი სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგება.

„დღეს ნებისმიერი ოპერატორისთვის არსებობს კადრების პრობლემა. მოზღვავებულია მოთხოვნა როგორც ადგილობრივი მომხმარებლის მხრიდან, ასევე ტურისტების მხრიდანაც, ვინაიდან მათი რაოდენობა მზარდია. ხშირად ვამბობდი, რომ შეიძლება რესტორანი არ დარჩეს, რომელიც მომსახურების გაწევას შეძლებს-თქო. დღეს რესტორნები მუშაობს, მაგრამ იმ რაოდენობით, რის შესაძლებლობა და პოტენციალიც გვაქვს, ნამდვილად არა.

სარესტორნო სფეროში კადრების მნიშვნელოვანი დეფიციტია. ამ პრობლემის გადაჭრა ჩვენი სფეროსთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს. ჩვენ, ასოციაციამ გადავწყვიტეთ, რომ უკრაინიდან ჩამოსული მიგრანტები ჩვენთან დავასაქმოთ. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და მინდა გითხრათ, რომ ჩვენ უკვე მივიღეთ რამდენიმე ადამიანი. საუბარი გვაქვს უშუალოდ უზბეკეთიდან ხალხის ჩამოყვანაზე, რათა ისინი დავასაქმოთ. ამაზე უკვე აქტიურად ვმუშაობთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შემიძლია გითხრათ, რომ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდებით, რადგან ტურისტული სეზონი ქვეყანაში ერთ-ერთ მთავარი ფაზაში შევიდა“, — განაცხადა ასოციაციის ხელმძღვანელმა **შოთა ბურჯანაძემ**. მისივე თქმით, დღეს სარესტორნო სფეროში ადეკვატური ხელფასებია. მიმტანის ხელფასი ძირითადად 1500 ლარზე ნაკლები არ არის.

ეკა ბაძრაძე

2026 წლამდე საჯარო სამსახურში ხელფასების ოდენობა ყოველწლიურად, 10 პროცენტით გაიზრდება!

2026 წლამდე **საჯარო სამსახურში ხელფასების ოდენობა ყოველწლიურად, დაახლოებით, 10%-ით გაიზრდება,** — ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, გასულ წელს, 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განისაზღვრა გარკვეული პრინციპები, თუ როგორ უნდა მოწესრიგებულიყო საჯარო სამსახურებში შრომის ანაზღაურების ნაწილი. მისი თქმით, საქართველოს მთავრობას დაევალა, საქართველოს პარლამენტისთვის წარედგინა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საჯარო სამსახურებში ხელფასების მოწესრიგება.

„დღეს განისაზღვრა ის ძირითადი პრინციპები, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული საკითხის მოწესრიგება გრძელვადიან პერიოდში. შესაბამისად, ჩამოყალიბდა გარკვეული მიმართულებები, თუ რას უნდა ეფუძნებოდეს საჯარო სამსახურში შრომის ანაზღაურების ნაწილი და ეს მიმართულებები არის შემდეგი: კერძოდ, 2026 წლის 1 იანვრიდან საბაზისო თანამდებობრივი სარგო უნდა განისაზღვროს იმ პროცენტული მაჩვენებლით, რა პროცენტულადაც ბოლო ოთხი კვარტლის განმავლობაში არასახელმწიფო სექტორში გაიზრდება საშუალო ხელფასი. ასევე, 2026 წლიდან საბაზო თანამდებობრივი სარგო უნდა განისაზღვროს ისე, რომ საშუალო ხელფასი სახელმწიფო სექტორში არ იყოს არასახელმწიფო სექტორში არსებული საშუალო ხელფასის 80%-ზე ნაკლები და 90%-ზე მეტი — ანუ განისაზღვრა ის დიაპაზონი, რა დიაპაზონშიც უნდა იყოს საჯარო სამსახურში ხელფასების საშუალო დონე, კერძო სექტორთან მიმართებით. დღევანდელი მოცემულობით საჯარო სამსახურში ხელფასების საშუალო დონე, კერძო სექტორთან მიმართებით, დაახლოებით, 74%-ს შეადგენს, რაც ისტორიულად ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. წლების განმავლობაში ეს მაჩვენებელი იცვლებოდა და იყო 93-94 პროცენტიც, თუმცა 2021 წლისთვის ეს მაჩვენებელი შემცირებულია 74%-მდე. კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრულია მთავრობის დადგენილებით, ნიშნავს იმას, რომ მომდევნო წლების განმავლობაში 2026-წლამდე, ყოველწლიურად, საჯარო სამსახურში ხელფასების ოდენობა, დაახლოებით, 10%-ით გაიზრდება იმისთვის, რომ მიღწეული იქნას ის პარამეტრები, რომელზეც ჩვენ საუბარი გვქონდა“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა.

მისი თქმით, აღნიშნული პარამეტრები უკვე განხილული იქნება კანონმდებლობის დონეზე, როდესაც დაიხვეწება 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი და შესაბამისად, მისი თქმით, აღნიშნულ კანონში აისახება მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

სალომე ზურაბიშვილი:

ზოგჯერ თქმითაც დაშავდების...

საძარცველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, მიზნის მისაღწევადც, რასაც მხარს უჭერს საზოგადოების 85 პროცენტი, საჭიროა ერთობლივი მუშაობა.

სალომე ზურაბიშვილის თქმით, ამ შემთხვევაში მთავარი პასუხისმგებლობა აქვს ხელისუფლებას. ამავდროულად, სალომე ზურაბიშვილი აღნიშნავს, რომ ევროპარლამენტარებთან ხელისუფლების წარმომადგენლების დიალოგმა სხვა ფორმა უნდა მიიღოს, რადგან არის რაღაცები, რაც არ შეიძლება, ითქვას.

„ევროპული პერსპექტივა, რომელიც მოგვენიჭა და მოგვენიჭა ევროპარლამენტის, ასევე ევროპული საბჭოს მიერ, არის უაღრესად მნიშვნელოვანი რამ. ზოგჯერ, გვავიწყდება ეს და ვერ ვხედავთ, რომ ეს არის გადადგმული ნაბიჯი, რომელზედაც უკან დახევა არ იქნება, მაგრამ რომელიც მოითხოვს ჩვენგან, რომ ღირსნი ვიყოთ ამ ევროპული პერსპექტივის. მეორე მხრივ, შეიძლება, უახლოესი მომავლისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი არის ის განცხადება, რომ ჩვენ მოგვენიჭება კანდიდატის სტატუსი წლის ბოლოს, თუ შევასრულებთ იმ მთავარ რეკომენდაციებს, რასაც ვეძახით 12 პუნქტს, რომელზეც უნდა დაიწყოს მუშაობა. ეს მუშაობა უნდა დაიწყოს ბრიუსელში, სადაც მე კიდევ ველოდები, რომ აქედან წავიდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომ კომისიასთან გაარკვიონ ზოგიერთი დეტალი და როგორ უნდა შესრულდეს ამ პუნქტების ზოგიერთი ნაწილი.

მუშაობა უნდა დაიწყოს პარლამენტში და ამისთვის მოვაწერე ხელი განცხადებას, რომ შედგეს საზაფხულო სესია, რამეთუ ჩვენ როცა გვაქვს ექვსი თვე, სრულიად გაუგებარი არის და მგონი, გაუგებარია ჩვენი ევროპარლმენტარი მეგობრებისთვის, არ დავიწყოთ მუშაობა ახლავე. კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამ იმას, რომ ერთად მუშაობა ნიშნავს პარლამენტში, სესიის ფორმით, კომიტეტებში, ანუ ან პლენარულ სხდომაზე, ან, ასევე ხელისუფლების, უმრავლესობის მიერ წარდგენილ სამუშაო ჯგუფებში მუშაობას! ყველგან უნდა ვიმუშაოთ და ყველამ ყველგან უნდა იმუშაოს. იმაზე უარის თქმა და ამაზე — კი, ასე არ გამოვა, თუ ჩვენ რეალურად გვინდა ის, რასაც უჭერს მხარს ჩვენი საზოგადოების 85%. მხოლოდ მუშაობა, ერთად მუშაობაა საჭირო“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე დევიდ მაკალისტერთან ერთად გამართულ ბრიფინგზე.

◎ წერილი რედაქციას

დგება დრო სიკეთის რევანშისა...

გამაოგნებელია სიკეთის ბოროტად შეფუთვის კამპანია, რომელიც რადიკალურმა ოპოზიციამ და მათმა მიმდევრებმა სამარცხვინოდ ააგორეს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. არადა, რაც ამ ადამიანმა და მისმა ოჯახმა უანგაროდ გაიღო და კვლავაც არ აკლებს წყალობას თავის ქვეყანას, ჭეშმარიტად მადლია ღვთიური. ამ მადლს გვირგვინად ადგას წმინდა სამების საკათედრო ტაძარი დედაქალაქში. სრულიად საქართველოში აღდგენილ-განახლებულია 540 ეკლესია-მონასტერი და ისტორიული ძეგლი. ქველმოქმედების მადლი გადასწვდა ეროვნული კულტურის, ხელოვნების, სპორტის გაძლიერებას, განათლების სფეროს. ხელოვნებისა და სპორტის 500-ზე მეტი მოღვაწე სისტემატურად იღებს სოციალურ დახმარებას. ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ წლების წინათ განაცხადა, რომ თავისი ქონების არანაკლებ 90%-ს საზოგადო და საქვეყნო საქმეს მოახმარდა.

დიახ, ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ქველმოქმედების ასეთ მოცულობას, რომელიც 3 მილიარდ დოლარს აჭარბებს, ანალოგი არ მოეძებნება საქართველოს ისტორიაში. რად ღირს თუნდაც ბრიტანული გამოცემის „დეილი ექსპრესის“ აღიარება, რომ ქართველი ბიზნესმენი უმსხვილესი კერძო დონორია მსოფლიოში კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დედამიწის ზურგზე ალბათ არ მოიძებნება ქვეყანა, რომლის კეთილდღეობისთვის თავგადადებულ პიროვნებას, მტრად აცხადებდნენ ამავე ქვეყნის უმადური შვილები, თვალს იბრმავებდნენ და გონებას იხშობდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ პირადი და პარტიული ინტერესები წამოწიონ წინ. მათ გასაგონად ვამბობთ: ხომ უნდა დაფიქრდეთ, რა მაგალითს აძლევთ ქვეყნის მომავალ თაობას სიკეთის დაუნახაობით, უმადურობით, დიდი პატრიოტის მტრად გამოცხადებით. დასანანია ეს ყველაფერი, მაგრამ არის იმედიც — ღვთით კურთხეულ საქართველოში სიკეთე უთუოდ გაიმარჯვებს ბოროტებაზე. ივანიშვილი ხალხთანაა, ხალხი — ივანიშვილთან!

„აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი — „არიერგარდი“ გამოხატავს რა თავის რიგებში გაერთიანებული ცხოვრებით გამობრძმედილი ადამიანების ურყევ რწმენას, მტკიცედ უჭერს მხარს ქვეყნის საკეთილდღეოდ ბატონ ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობას.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!



აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანს — „არიერგარდის“ გამგეობის სახელით

გურამ საღარაძე

ალიანსის თავმჯდომარე
19.07.2022

ვინ გააქსუა და გააღორა სოსო გოგაშვილი?!

(მესამე გვერდიდან)

ღამბაშიძე დაასახელა იოსებ გოგაშვილმა, სწორედ ეს ერთ-ერთი პიროვნება გახლავთ, სოსო გოგაშვილის გადმოცემით, რომელმაც ხელებზე გაუსვა ცეცხლსასროლი იარაღები, რომელი იარაღების ჩადება და ამოღებაც შემდეგ განხორციელდა სოსო გოგაშვილის სახლში“, — აცხადებს **რამაზ ჩინჩალაძე.**

სოსო გოგაშვილის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს შესაძლოა დაემატოს კიდევ ერთი მუხლი — ქონების წარმომავლობა. ირკვევა, რომ სუს-ის მაღალჩინოსნის გამდიდრება არა მხოლოდ მაღალ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდს უკავშირდება, არამედ მას შემდეგაც გაგრძელდა. არსებული ინფორმაციით გოგაშვილი სუს-დან გამოტანილი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით ვაჭრობდა, მათ შორის საიდუმლო ინფორმაციით, რომელიც გოგაშვილის წყალობით სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების და მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენიანი წევრების ხელში აღმოჩნდა.

ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** განცხადებით, შარშან, ოქტომბრის შუა რიცხვებში, მისთვის ცნობილი გახდა, რომ გოგაშვილის ახლო მეგობარი, ოპოზიციური პარტიის ცნობადი სახე, ერთ-ერთ უცხო ქვეყანაში გაემგზავრა. მასთან ერთად გაემგზავრა გოგაშვილის ოჯახის წევრი, სადაც შედგა შეხვედრა „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებთან და იმ ქვეყნის სპეცსამსახურებთან დაახლოებულ პირებთან. გამოძიების დაინტერესების შემთხვევაში, ქართველიშვილი მზად არის ამ შეხვედრასთან დაკავშირებით მიაწოდოს ინფორმაცია.

„ვინაიდან სოსო გოგაშვილთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ყურადღება დიდია, შემიძლია ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის მხოლოდ მცირე ნაწილით გავამდიდრო ობიექტურად და ლოგიკურად მის მიმართ არსებული ინტერესი — საიდან მოდიოდა და რა მიზნებით მოხვდა იგი ქვეყნის სპეცსამსახურების მწვერვალზე. ვეცადოთ პატარა ფარდა ავხადოთ იმას, თუ როგორ შეძლო გაუნათლებელმა, შემთხვევითმა, მხოლოდ ვაჭრობასა და გამდიდრებაზე „აცრილმა“ ადამიანმა სოციალურად დაუცველის სტატუსიდან 2-3 წელიწადში წარმოუდგენელი გამდიდრება. სოსო გოგაშვილი არის გაუნათლებელი, მდაბიო ადამიანი, რომელიც სიმდიდრის გამო ყველაფერზეა წამსვლელი. მისთვის არ არსებობს სამშობლოს ინტერესი და საიდუმლო ინფორმაცია. ასეთი ხალხისთვის არსებობს მხოლოდ სიმდიდრის სიყვარული. ამიტომ, ძალიან სწრაფად უნდა გაირკვეს, ეს კაცი, დიდძალი თანხის სანაცვლოდ, რომელი ქვეყნის სპეცსამსახურებს ამარაგებდა ინფორმაციით“, — აცხადებს დავით ქართველიშვილი.

როგორც ანალიტიკოსი ამბობს, 2002-2003 წ.წ. პირველად შეხვდა გოგაშვილის სახელი და გვარი.

„იგი მუშაობდა ნავთლუღის ბაზრის ხორცის სექციის ერთ-ერთ დახლზე. საქმიან ურთიერთობებში შეიმჩნევა შსს-ს ისნის რ/განყოფილების ზონალურ ოპერ ჯგონი N-თან. დაიწყო კუდ-ის პერიოდი, სადაც ერთი დღე არ მიმუშავია — ეს იყო ჩემი პრინციპული გადაწყვეტილება. გოგაშვილზე აღარაფერი მსმენია, გარდა ღია წყაროებში უკვე 2013 წლის შემდეგ არსებული ინფორმაციებისა, რომ მეუღლესთან ერთად ნაძალადევის ერთ-ერთ მაღაზიაში იჯარით აღებული ჰქონდათ ხორცისა და ხილ-ბოსტნეულის დახლები და რომ გადმობირებული იყო კუდ-ის ზონალური ოპერის მიერ.

ჩანერგილი იყო ერთ-ერთ მართლმადიდებლურ პატრიოტულ ორგანიზაციაში, რომლის 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი მოვლენების შემდეგ, ყინწვისის მონასტერში გადამალული წევრები კუდ-ს ჩააბარა საკუთარი ხელით. ამ ყველაფრის შესახებ, ვიმეორებ, შევიტყვე მოგვიანებით ღია წყაროებიდან და მათ უტყუარობაზე თავს, რა თქმა უნდა, ვერ დავდებ“, — წერს **დავით ქართველიშვილი.**

* * *

ის, რომ გოგაშვილი დადასტურებულად აწვდიდა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ფაილებს ოპოზიციურ ტელეარხებს და შესაძლოა — პარტიებსაც, ეს უკვე ფაქტია, თუმცა ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ამბობს, რომ ჩნდება უფრო და უფრო მძიმე, სერიოზული კითხვა — გამდიდრებისკენ მიდრეკილი გოგაშვილი ხომ არ აწვდიდა საიდუმლო ინფორმაციებს, რომელიმე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს და სხვა ფაქტორებთან ერთად, ამასაც ხომ არ უკავშირდება მისი უეცარი და ოფიციალურ შემოსავლებთან შეუსაბამო გამდიდრება?

„მოგეხსენებათ, სენსიტიური და საიდუმლო ინფორმაცია საკმაოდ ძვირად ფასობს. იმედია, გამოძიება დაადგენს ყველაფერს. დაშვების დონეზე, პრინციპში, შეიძლება დაშვება. თუკი ერთხელ გადადგა ის ნაბიჯი, რაც უკავშირდებოდა იმის გაკეთებას, რასაც არ უნდა აკეთებდეს საიდუმლო სამსახურის მფლობელი, ანუ, სახელმწიფო საიდუმლოებების შემცველი ფაილების გადაცემა დაინტერესებული პირებისთვის, რატომ არ შეძლებდა ეს გაეკეთებინა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან მიმართებაში?! მით უმეტეს ისინი ასეთ ინფორმაციაში, როგორც წესი, კარგად იხდიან, ნებმისმიერი სპეცსამსახურისთვის ასეთი ტიპის ინფორმაცია არის მიგნება. შესაბამისად, დაშვების დონეზე რატომ არ შეიძლება ამის დაშვება?

თუკი ერთხელ წაუცდა ხელი, რაც აბსოლუტურად შეუფერებელი და დაუშვებელია საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლისთვის, რაც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, რატომ არ შეიძლება იგივე მეორედ მომხდარიყო?! როდესაც უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან გამოდის სამსახურეობრივი ფაილები, რომელსაც მინიჭებული აქვს გრიფი „საიდუმლო“, ეს თავისთავად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რა კეთილშობილი მიზნებითაც არ უნდა იყოს ეს შეფუთული, ეს არის დანაშაული და ნებისმერ დემოკრატიულ ქვეყანაში ითვლება დანაშაულად. რა თქმა უნდა, რა დასკვნას დადებს გამოძიება, ამას ვნახავთ მომავალში“, — აცხადებს **ზაალ ანჯაფარიძე.**

* * *

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** შეფასებით, გამორიცხული არ არის სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები დაინტერესებული ყოფილიყვნენ მისი პერსონით, ამას ისიც ადასტურებს, რომ ამდენი სკანდალის მიუხედავად, ხელუხლებელი ფიგურა იყო.

„ალბათ, ასეთი სკანდალებიდან ერთიც კი ნებისმიერ სხვა ადამიანს დააკარგვინებდა სამსახურს, მაგრამ ამან გოგაშვილზე არ იმოქმედა. სავარაუდოა, რომ ზოგიერთი ქვეყნები, რომლებიც საკუთარი ქვეყნების გავლენას უზრუნველყოფდნენ საქართველოში, იფარავდნენ გოგაშვილს. ადამიანის და მით უმეტეს ძალოვანი უწყების გავლენიანი თანამდებობის პირის უეცარი გამდიდრება სპეცსამსახურების მხედველობის ველში ხვდება. წესით, ქვეყნის სპეცსამსახურს ხომ უნდა გაუჩნდეს ეს კითხვა — საიდან აქვს ამ ადამიანს ამდენი სახლი და მანქანა? ის, რომ ასეთი კითხვა არ უჩნდებოდა სპეცსამსახურს, ამის ვარაუდად ან უნდა დავასახელოთ ფენომენალური არაპროფესიონალიზმი, ან მფარველობა.

არაპროფესიონალიზმის შემთხვევაში ე.ი. გასაწმენდია მთელი ძალოვანი სტრუქტურები, მფარველობის შემთხვევაში, გასაწმენდიც არის და დასასჯელებიც არიან ვიღაც სხვებიც, გარდა გოგაშვილისა. ვიმეორებ, ასეთ მდგომარეობაში ადამიანის აქამდე მოყვანა და თან ძალოვანი სტრუქტურის გავლენიანი მაღალჩინოსნის, თან ამხელა ქონება ჰქონდეს, კითხვა არ გაჩნდეს მისი ქონების წარმომავლობის შესახებ, ძნელი წარმოსადგენია მფარველობის გარეშე“, — აღნიშნა **რამაზ საყვარელიძემ.**

მოამზადა
თამთა ქარჩავამ

(პირველი გვერდიდან) მისივე აზრით, „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გაიაზროს, რომ ბევრი მისი ქმედება ბოლო დროს არასწორი მიმართულებით ვითარდება და პრობლემები არა ამერიკის ელჩში, დასავლელ ანალიტიკოსებში ან სხვებში უნდა ეძიოს, არამედ მიხვდეს, რომ ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოს ბევრი უცხოელი მეგობრის შეშფოთებას გამოხატავს.

„ატლანტიკური საბჭოს“ ევრაზიის ცენტრის დირექტორის, **ჯონ ჰერბსტის** აზრით კი, შეერთებული შტატების ელჩის თუ სხვა „კრიტიკოსთა კრიტიკა“ „საუბრის თემის შეცვლის მცდელობა“ და ევროკავშირის წევრის კანდიდატის სტატუსის კუთხით წარუმატებლობის გადაფარვისა და გადაბრალების მცდელობაა.

„დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ თავდასხმა ამერიკის ელჩზე“!

ბსტსაც. მისი აზრით, **არ არის ბევრი „პატიოსანი უცხოელი დამკვირვებელი, ვისაც სჯერა, რომ „ტრიომ“ და დანარჩენებმა შეწყვიტეს „ოცნებასთან“ თანამშრომლობა: „თუკი ისინი მართლაც დამოუკიდებელი აქტორები არიან, მაშინ მოსალოდნელი იქნებოდა, რომ „ქართული ოცნების“ წამყვანი პირები მათ საჯაროდ გააკრიტიკებდნენ საქართველოს საუკეთესო მეგობარზე თავდასხმის, საქართველოს მთავრობის ძალიან მნიშვნელოვანი მოკავშირის კრიტიკის გამო. მე, როგორც ყოფილ ამერიკელ დიპლომატს, რომელიც სამხრეთ კავკასიაში მოვლენებს ყურადღებით აკვირდება, ამის მოლოდინი მექნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ისინი, კვლავ „ქართული ოცნების“ წევრებთან ტანდემში არ მოქმედებენ“,** — ამბობს ჰერბსტი „ამერიკის ხმასთან“ საუბარში.

„რა თქმა უნდა, ის ფაქტი, რომ „ქართული ოცნების“ მოქმედი და პარტიიდან ცოტა ხნის წინ წასული წევრები ჩვენს ელჩს და ჩვენს მთავრობას აკრიტიკებენ, არის ნათელი მცდელობა იმისა, რომ შეცვალონ თემა და როგორღაც უთხრან ქართველ ხალხს: ნუ იქნებით ჩვენზე გაბრაზებულნი იმის გამო, რომ ევროკავშირის წევრობის ეს შანსი არ შემოგვთავაზეს, გაბრაზდით იმის გამო, რომ უცხო ძალები ომში ჩვენს ჩართვას ცდილობენ. ეს ერთდროულად სასაცილოცაა, სკანდალურიც და სევდიანიც“, — ამბობს ჰერბსტი, რომელიც თავად იყო ამერიკის ელჩი უკრაინასა და უზბეკეთში.

მოვლენების განვითარების მიმართულება აწუხებს ამერიკის ყოფილ ელჩს საქართველოსა და ეუთოში, **იან კელისაც: „ეს სრული სიცრუეა. შეუძლებელია ამერიკა ან ამერიკის ელჩი ცდილობდნენ საქართველოს ომში ჩათრევას. ამასთან, ესაა უფრო ფართო ტენდენციის თუ კამპანიის ნაწილიც კი, რომელიც გულისხმობს — დასავლეთისთვის ხელის კვრას; ისეთი გზით, როგორიც ე.წ. „პერსონაჟის მკვლელობა“, მისი რეპუტაციის დაზიანებაა — ელჩი დეგნანისა და სხვა ევროპელი დიპლომატების მიმართ. ასევე იმ კუთხით, რომ არ სრულდება ის შეთანხმებები და დაპირებები, რომლებიც საქართველომ დასავლურ ქვეყნებთან წლების წინ ან ახლახან გააფორმა და კონკრეტული რეფორმების გატარებას შეეხება. ვფიქრობ, საქართველოს ყველა მეგობარი ამერიკასა და ევროპაში ძალიან შეშფოთებულია ამ ტენდენციებით“,** — ამბობს კელი.

ყოფილი ელჩი და ახლა „ნორთ უესტერნის უნივერსიტეტის“ პროფესორი განმარტავს, რომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მცოდნეებს მმართველი პარტიის მიერ ძალაუფლების კონსოლიდირების და ერთპარტიული მმართველობის გაძლიერების მცდელობა არ უკვირთ, რადგან ეს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ბევრჯერ უნახავთ, მათ შორის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილის ლიდერობის პერიოდშიც. თუმცა მისი აზრით, ახლა ყველაზე უპრეცედენტო — კეთილისმსურველების შეურაცხყოფის უწყვეტი ტენდენციაა.

„ამერიკაში ბევრია შეწუხებული ერთპარტიული მმართველობისკენ სვლის ტენდენციით, ოპოზიციის დემონიზაციისა და სრული მარგინალიზაციისკენ მიმართული ქმედებებით. უპრეცედენტოა შეთანხმებების დარღვევისა და საქართველოს მეგობრების შეურაცხყოფის უწყვეტი ნაკადი. კელი დეგნანი კი, რა თქმა უნდა, საქართველოს მეგობარია, ისევე როგორც მე, და ბევრი ადამიანი სახელმწიფო დეპარტამენტში, თავდაცვის დეპარტამენტში თუ კაპიტოლიუმში. ჩვენ, ყველა, შეშფოთებულები და დაბნეულები ვართ, ვცდილობთ გავიგოთ რა ხდება. ამას ექნება გავლენა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებზე“, — ამბობს კელი.

ყოფილი ელჩი ფიქრობს, რომ დასავლეთს რუსეთის აგრესიული იმპერიალისტური მიზნების შესახებ ილუზიები აღარ აქვს და პროდასავლურად განწყობილი ქვეყნების მაქსიმალურ მხარდაჭერას ცდილობს. ამ ფონზე, განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ერთ დროს რეფორმატორ ქვეყნებს შორის მოწინავე საქართველო, უკანა რიგებში აღმოჩნდა და „ისე გამოიყურება, თითქოს ის მართლაც დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომ არ იყოს რეფორმისტულ გზაზე და ხელს კრავს დასავლეთს“.

დევიდ კრამერი

რას ნიშნავს ელჩის კრიტიკა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებისთვის და საქართველოს დასავლური მომავლისთვის?

— ჯონ ჰერბსტი ფიქრობს, რომ პოლიტიკურ ოპონენტებთან ნებისმიერი მეთოდით გამკლავება მმართველი ძალისთვის პრიორიტეტია და შეცდომებიც დემოკრატიის გზაზე სწორედ ყველაზე მეტად პოლიტიკური ოპონენტების დასუსტების მცდელობითაა განპირობებული. „შეცდომების აღიარების ნაცვლად, ისინი ეძებენ გზებს, როგორ დაიცვან თავი ქართველი ამომრჩევლის უკმაყოფილებისგან“. მისი აზრით, ომის თავიდან არიდებაზე საუბარში ცუდი თავისთავად არაფერი იქნებოდა, რომ არა პარალელურად მიმდინარე — დასავლური მისწრაფებების ძირგამომთხრელი ნაბიჯები. მისი აზრით, ამერიკა-საქართველოს მეგობრობა, ქვეყნის პროდასავლური მომავლის მნიშვნელოვანი ნაწილია. ჰერბსტი ფიქრობს, რომ დემოკრატიულ გზაზე შეცდომების უმთავრესი მიზეზი კვლავ შიდა პოლიტიკურ სისუსტესა და შიშებში უნდა ვეძიოთ.

„მათ ეშინიათ საკუთარი პოლიტიკური ოპონენტების და მათთვის უმთავრესი პრიორიტეტია, გაუმკლავდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს ნებისმიერი იმ გზით, რომელსაც ისინი საჭიროდ მიიჩნევენ. ეს შეცდომაა, მცდარი მიდგომაა, რადგან ეს (მმართველობისჯ არადემოკრატიული და ავტორიტარული სტილია. და ეს ასევე შეცდომაა იმის გამო, რომ ეს ძირს უთხრის მათ საგარეო მიზნებს“, — მიიჩნევს ჰერბსტი.

ყოფილი დიპლომატი არადემოკრატიულ ქმედებებში ყოფილ ხელისუფლებას და ახლა უდიდეს ოპოზიციურ პარტიასაც ადანაშაულებს, თუმცა ამბობს, რომ პასუხისმგებლობა დღევანდელ პრობლემებზე პრინციპულად მმართველ ძალას და მოქმედ ხელისუფლებას ეკისრება. მით უფრო, რომ ბოლო წლებში აშკარა იყო ოპონენტების დასუსტების თანმიმდევრული ნაბიჯები - მათ შორის არადემოკრატიული საშუალებებითაც.

ამერიკის ელჩის კრიტიკას გამოეხმაურა პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც და თქვა, რომ ძალიან წუხს ამგვარი განცხადებების გამო. მისი თქმით, კრიტიკის ფორმა არასწორია და თუ კონკრეტული მტკიცებულებები არსებობს, მათ შესახებ მთავრობა ელჩს არა მედიის საშუალებით, არამედ — პირადად უნდა ესაუბროს. „ჩვენი მეგობრები არიან ჩვენი მეგობრები და ჩვენ სხვა მეგობრები არ გვყავს“, — განაცხადა პრეზიდენტმა. თავად კელი დეგნანი კი ამბობს, რომ **ამერიკის მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და დემოკრატიული განვითარებისადმი ურყევია და შეერთებული შტატები ყველანაირად ცდილობს, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყე-**

ვაშინგტონი ამერიკის ელჩის კრიტიკას უპასუხებს

ბული ომი სხვა ქვეყნებში არ გადავიდეს, იქნება ეს საქართველო თუ — სხვა.

„ჩვენ გავაგრძელებთ თანამშრომლობას საქართველოსთან, რომ ის გახდეს ნატოს და ევროკავშირის წევრი. ჩვენ კარგი პარტნიორობა გვაქვს წლების განმავლობაში იმის მიუხედავად, თუ რომელი პარტიაა ქვეყნის სათავეში. მე, როგორც შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, ვახორციელებ ამერიკის საგარეო პოლიტიკას“, — განაცხადა ელჩმა დეგნანმა.

დამაჯერებელია თუ არა „გამოყოფილი დეპუტატების“ დამოუკიდებელი დღის წესრიგი?

— საქართველოს მთავრობა „მოქალაქეებისთვის სიმართლის თქმის“ მოტივით მხოლოდ ეროვნული პარლამენტის წევრებს არ დაუტოვებიათ. „ტრიოს“ (მიხეილ ყაველაშვილი,

ჯონ ჰერბსტი

სოზარ სუბარი, დიმიტრი ხუნდაძე) გაფართოებულ რიგებს შეუერთდნენ ადგილობრივი დეპუტატები რეგიონებიდანაც. ამერიკის ელჩმა საქართველოში, კელი დეგნანმა აღნიშნა, რომ მმართველი პარტიის ყოფილი წევრების შეფასებები „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერების მოსაზრებებისგან არც ისე შორსაა, და თავად ერთ-ერთი „გამოყოფილის“, მიხეილ ყაველაშვილის რიტორიკაშიც „არ იგრძნობოდა, რომ ის რეალურად ჩამოშორდა პარტიას“.

ვაშინგტონში არ სჯერათ, რომ ეს დამოუკიდებლად მიმდინარე პროცესია და ამბობენ, რომ ეს პოლიტიკოსებიც ძირითადად მმართველი გუნდის მოსაზრებებს აჟღერებენ: **„თუკი მმართველ პარტიას ჰგონია, რომ მათგან გამოყოფილი ამ პარლამენტარების ყოლა მათ რაღაცნაირად უფრო იმუნურს, დაცულს გახდის დასავლეთის კრიტიკისგან მაშინ, როცა ისინი დასავლეთისა და დასავლელი დიპლომატების შესახებ ტყუილებს ავრცელებენ, ისინი ძალიან ცდებიან. ეს მკაფიოდ უარყოფითი პროცესია. მმართველი პარტიის ფრაქციის შექმნა, არ მგონია, რომ ვინმეს გაასულელებს. ეს ერთგვარი სიტემური, (სისტემის შიგნით არსებული) კონტროლირებული ოპოზიციის შექმნის მცდელობას უფრო ჰგავს, რაც რეგონის სხვა ქვეყნებში უკვე გვინახავს და ძალიან, ძალიან სამწუხაროა ჩემთვის, რომ მსგავსი ტაქტიკის გამოყენებას საქართველოშიც ვხედავ“,** — ამბობს ყოფილი ელჩი იან კელი.

დეპუტატების მიერ დამოუკიდებელი მოტივაციის შესახებ კითხვები აქვს ჯონ ჰერბსტსაც.

„ქართული ოცნება“ უარყოფს ნებისმიერ ბრალდებას მისი წევრების ან ყოფილი წევრების განცხადებების ანტიდასავლურობის თაობაზე. პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა ცოტა ხნის წინ, ამგვარ ბრალდებებს „სასაცილო და არასერიოზული“ უწოდა:

„არანაირი ანტიდასავლური კამპანია, მათ შორის ამ ჩვენი სამი კოლეგის მხრიდან, არ არის და სასაცილოა, რომ ანტიდასავლურობა დააბრალო სოზარ სუბარს და პროდასავლურობა დააბრალო ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელს თუ ზოგიერთ სამოქალაქო აქტივისტს. სოზარ სუბარს ამ ქვეყანაში უფრო მეტი ევროპული საქმე აქვს გაკეთებული, ვიდრე არასამთავრობო ორგანიზაციების ნახევარზე მეტს“, — თქვა პარლამენტის თავმჯდომარემ.

რამდენად მოსალოდნელია ამ ვითარებაში ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საჭირო პროცესის წარმართვა?

— იან კელი ამბობს, რომ საქართველოს დასავლურ მომავალთან დაკავშირებით მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი და ამის მიზეზი კი ისაა, რომ ქართველ ხალხს სურს იყოს არა რუსული სამყაროს, არამედ — დასავლეთის ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი ხელისუფლების წევრები რეალურად საუკეთესო მეგობრებს ხელს კრავენ. ჯონ ჰერბსტი კი ამბობს, რომ ამერიკის ელჩზე თავდასხმის შეწყვეტა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვებისთვის საჭირო ნაბიჯები ერთ კონტექსტში უნდა იყოს განხილული, რადგან ეს ყველაფერი ერთი დიდი პოლიტიკური პროცესის ნაწილია.

„ჩემი რეკომენდაცია საქართველოს მთავრობისთვის ასეთი იქნებოდა: დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ თავდასხმა ამერიკის ელჩზე და დაიწყეთ იმ ნაბიჯების გადადგმა, რომელთა განხორციელებაც ევროკავშირმა გირჩიათ იმის-



იან კელი

თვის, რომ კანდიდატის სტატუსი მოიპოვოთ. ვფიქრობ, ეს ორი რამ შეიძლება მხოლოდ ერთობლივად მოხდეს: ან ერთობლივად გათვალისწინებული იქნება, ან ერთობლივად უგულებელყოფილი. თუკი „ქართული ოცნების“ „ყოფილი“ წამყვანი და ახლანდელი წევრები განაგრძობენ ამერიკის კრიტიკას, ვეჭვობ, ვერც იმ ნაბიჯებს ვნახავთ, რაც ევროკავშირის რეკომენდაციებითაა გათვალისწინებული“, — ამბობს ჯონ ჰერბსტი.

ეკა მაღალდაძე

„ამერიკის ხმა“

სოფელ ძველ ხიბულაში ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით აშენებული სამონასტრო კომპლექსი აკურთხეს

ძველ ხიბულაში ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით აშენებული წმინდა ლაზარეს აღდგინების სახელობის ტაძარი აკურთხეს. ტაძართან ერთად აშენდა სამრეკლო, სამრევლო სკოლა და დასასვენებელი პარკი. „ქართუს“ მიერ ძველ ხიბულაში ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა საქართველოს

ზვიად გამსახურდიას მოღალატური სიკვდილით ამაღლებული სოფელი

პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მემორიალურ სახლს.

ტაძრის კურთხევის ცერემონიალს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია, მოადგილეებთან, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ფონდ „ქართუს“ წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

სამონასტრო კომპლექსთან და მემორიალურ სახლთან ერთად ხიბულაში ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით 60 აღსაზრდელზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად საბავშვო ბაღიც აშენდა. ბაღი აღჭურვილია ახალი ინვენტარითა და ტექნიკით. საბავშვო ბაღს გააჩნია კეთილმოწყობილი ეზო და სათამაშო სივრცე.



მემორიალური სახლის რეაბილიტაციის, სამონასტრო კომპლექსის და საბავშვო ბაღის მშენებლობის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა 2019 წელს, ხიბულაში სტუმრობის დროს განაცხადა.

ფონდ „ქართუს“ გარდა, ხიბულაში მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს საქართველოს მთავრობა. ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია ხორციელდება, სამუშაოები გზების უმეტეს ნაწილზე უკვე დასრულებულია. საერთო ჯამში, შიდა გზებში ბეტონის საფარი 13 კილომეტრზე იგება. მოეწყო სანიაღვრე არხები, ხიდები და მილხიდები. პროექტს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს. საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყო საქანთარიოს, საქვარაიოს, საკონჯარიოს, საღურწკაიოს უბნებში და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაქვინჯისა და ძველი ხიბულას დამაკავშირებელ გზაზე. აქამდე გზების ამ მონაკვეთებზე მხოლოდ გრუნტის საფარი იყო. 2019 წელს განხორციელდა ძველი ხიბულა-ნარაზენის დამაკავშირებელი გზის 9-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციაც.

ამასთან, სოფელში მდინარე ჭანისწყალზე, ახალი ხიბულასა და ძველი ხიბულას დამაკავშირებელი ხიდი აშენდა. არსებული ხიდი ავარიულ მდგომარეობაში იყო და რეაბილიტაციას არ ექვემდებარებოდა. **ხიბულაში ასევე აქტიურად ხორციელდება სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები, სოფლის 24-საათიანი წყალმომარაგებისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 8 მილიონ ლარზე მეტი გამოიყო. ადგილზე ასევე უკვე დასრულდა გაზიფიცირება, რისთვისაც 27-კილომეტრიანი გაზსადენი აშენდა.**

გელათის კედლის მხატვრობა გადარჩება

გელათის სამონასტრო კომპლექსს იტალიელი სპეციალისტების გაფართოებული ჯგუფი ეწვია. კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, მომდევნო ხუთი თვის განმავლობაში, ისინი ქართველ სპეციალისტებთან ერთად სამონასტრო კომპლექსის ძირითად ტაძარში, დასავლეთ მკლავის კამარის დაზიანებული კედლის მხატვრობის გადასარჩენად, კვლევებზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებით ყველა საჭირო სამუშაოს ჩაატარებენ. შესაბამისად, ამ ნაწილში განთავსებული მხატვრობა ზამთრის სეზონს დაცულ მდგომარეობაში შეხვდება.

იტალიელ ექსპერტებთან ერთად გელათში იმყოფებოდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი. იტალიელ სპეციალისტთა მოცემული ჯგუფი კულტურის სამინისტროს მოწვევით გელათში 13 თვის წინ ჩამოვიდა და ძირითადი ტაძრის დასავლეთ მკლავის ყველაზე დაზიანებული მხატვრობა ჩამოცვენას გადაარჩინა. მათ შორის იყო მაცხოვრის სახეც. სასიხარულოა, რომ მხატვრობის ეს ნაწილი დღესაც უცვლელად არის შენარჩუნებული, რაც გამოყენებული მეთოდის სისწორეზე მეტყველებს. დადასტურებულია, რომ ტაძარში წყლის ინფილტრაცია სრულად აღმოფხვრილია და კედლის მხატვრობის ჩამოშლა ასევე სრულად შეჩერებულია. თუმცა, გამომარილება გრძელდება. შესაბამისად, გრძელდება სპეციალისტების მიერ 24-საათიან რეჟიმში კედლის მხატვრობის მონიტორინგი და მარილების მოშორება. ამასთან, ოპტიმალურად მიმდინარეობს კედლების შრობის პროცესი მას შემდეგ, რაც იუნესკოს სპეციალისტების რჩევით, ტაძრის სახურავის ერთი ნაწილიდან მოიხსნა მოჭიქული კრამიტი და ნესტის აორთქლება ზემოდანაც გახდა შესაძლებელი.

ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი შემუშავდა 2008 წელს. როგორც პროექტი, ასევე მისი განხორციელების პროცესი სერიოზული ხარვეზებით გამოირჩეოდა და ტაძარში წყლის ჩასვლის პრევენცია მხოლოდ 2020 წლის დასასრულისთვის მოხერხდა. 2021 წლის მარტიდან, ახალშექმნილმა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ქმედითი ნაბიჯები გადადგა გელათის სამონასტრო კომპლექსის წინაშე მდგარი გამოწვევების აღმოფხვრის მიმართულებით. კერძოდ, სამინისტროს ძალისხმევით, 2021 წლის ზაფხულიდან დღემდე საქართველოში UNESCO-ს ექსპერტთა რამდენიმე მისია განხორციელდა. UNESCO-ს ექსპერტთა ჯგუფის პირველი მისია გელათში მიმდინარე წლის 23-30 ივნისის პერიოდში შედგა. ექსპერტთა ორმა ჯგუფმა (კედლის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტები მარიო პულიერი და ვინჩენცო ჩენტანი და ძეგლის გადახურვის სპეციალისტები პროფესორი უგო ტონიეტი და სარა სტეფანინი) ადგილზე შეისწავლა გელათში შექმნილი მდგომარეობა და აგვისტოს დასაწყისში კულტურის სამინისტროს წარუდგინა საექსპერტო დასკვნა. დასკვნაში დეტალურად იყო შეფასებული გელათის სამონასტრო კომპლექსში არსებული მდგომარეობა და მოცემული იყო კონკრეტული რეკომენდაციები. ამის შემდეგ, გელათის სამონასტრო კომპლექსის კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით, საქართველოს 2021 წლის სექტემბერში ვინჩენცო ჩენტანი და ნოემბერში მარიო პულიერი ეწვია. 2021 წლის ნოემბერში კი, კულტურის სამინისტროს მოწვევით გელათს ცნობილი კლიმატოლოგი ალესანდრო მასარი სტუმრობდა და მან ადგილზე შეისწავლა არსებული მდგომარეობა. სწორედ ამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და ქართველ სპეციალისტებთან კონსულტაციების შედეგად დაიგეგმა შემდგომი სამოქმედო ნაბიჯები.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ მიმდინარე წლის 25 მარტს შეითანხმა ლითონის ახალი დროებითი გადახურვის პროექტი, რომელიც პროფესორ უგო ტონიეტის პირადი ზედამხედველობით შეიქმნა. მიმდინარე წლის 13 მაისიდან დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები. ტაძრის დასავლეთ მკლავსა და თაღებში დარჩენილი ტენიანობის აღმოსაფხვრელად, ტაძრის სახურავის ამ არეალში 2020 წელს მოწყობილი დამცავი დროებითი ლითონის საფარისა და 2008 წლის პროექტის მიხედვით ხარვეზებით დაგებული მოჭიქული კრამიტის სახურავის მოხსნა და ახალი დროებითი გადახურვის მოწყობა UNESCO-ს მაღალკვალიფიციური ექსპერტების კვლევებისა (მათ შორის, ჰიგირომეტრიული) და რეკომენდაციების შესაბამისად დაიგეგმა. ცნობილ კლიმატოლოგ ალესანდრო მასარისა და მსოფლიო დონის არქიტექტორ-რესტავრატორის, პროფესორ უგო ტონიეტის მიერ 2022 წლის 27 იანვარს გაიცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, აუცილებელი გახდა ზაფხულში გელათის ძირითადი ტაძრის დასავლეთ მკლავზე ხარვეზიანი კრამიტის საფარის მოხსნა კედლებსა და თაღებში დარჩენილი ტენიანობის ზემოდან ასაორთქლებლად. კლიმატოლოგ ალესანდრო მასარისა და პროფესორ უგო ტონიეტის მკაფიო რეკომენდაციით, აორთქლების პროცესში, დასავლეთ მკლავის მეტეოროლოგიური პირობებისგან (წვიმა) დაცვის მიზნით, მოეწყო ახალი დროებითი გადახურვა, რომელიც სახურავის ზედაპირისგან დაშორებულია.



გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის შობის ტაძარზე (ძირითადი ტაძარი) ახალი დროებითი გადახურვის მოწყობის პროცესზე ზედამხედველობის მიზნით, UNESCO-ს მაღალკვალიფიციური ექსპერტები, ძეგლის გადახურვის სპეციალისტები – პროფესორი უგო ტონიეტი და სარა სტეფანინი, საგანგებოდ, სამინისტროს მოწვევით, გელათში მიმდინარე წლის მაისის თვის დასასრულს ეწვივნენ.

ამასთან, ადგილზე მუშაობდა UNESCO-ს ექსპერტების კიდევ ერთი ჯგუფი კლიმატოლოგ ალესანდრო მასარისა და კედლის მხატვრობის სპეციალისტის მარიო პულიერის შემადგენლობით. ორივე მათგანი დროებითი გადახურვის მოწყობის პროცესს საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე აკვირდებოდა. კერძოდ, ალესანდრო მასარი ტაძარში ტენიანობის მონიტორინგზეა პასუხისმგებელი, ხოლო მარიო პულიერი კედლის მხატვრობის მდგომარეობას უწევდა მონიტორინგს. ამჟამად გელათში ჩამოსული ჯგუფის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების ზედამხედველობას კვლავ იგივე პროფესიონალები გაუწევენ.

მოამზადა
რატი მგელაძემ

მეტე ფრედერიქსენი:

გრენლანდია აღარ გაიყიდება!

ახლა რომ ხედავდეს შექსპირი დანიას, ნამდვილად არ ათქმევინებდა ჰამლეტს, რაღაც დალპა სამეფოშიო. პირიქით, აყვავდა და ერთ-ერთი ყველაზე დალხინებული ქვეყანაა დღეს მსოფლიოში. ამ ცოტა ხნის წინ, დანიის 44 წლის პრემიერ-მინისტრი, ქალბატონი მეტე ფრედერიქსენი საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ერთი უცნაური შემთხვევის გამო, რომლის მსგავსი არაფერი ახსოვს დიპლომატიის უახლეს ისტორიას.

ამერიკის წინა პრეზიდენტის ერთ-ერთმა მრჩეველმა ერთ გავლენიან ამერიკულ ტელეკომპანიას განუცხადა, რომ დონალდ ტრამპი განიხილავდა დანიის შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით შემავალი გრენლანდიის ყიდვის შესაძლებობას. ისტორიულად, ამერიკისთვის, ასეთი რამ ერთი ჩვეულებრივი ამბავია. თავად შეერთებული შტატების ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ხომ ფულითაა შეძენილი თავის დროზე, მაგრამ დანიის მთავრობის მეთაურმა გაოგნება ვერ დამალა, როცა საკითხზე კომენტარი სთხოვეს. ასე თქვა, ტერიტორიებისა და ხალხების ყიდვა-გაყიდვის ეპოქა, საბედნიეროდ, დასრულებულია, ამიტომ, აზრი არ აქვს ამ აბსურდულ თემაზე საუბრის გაგრძელებასო. ამ პასუხმა ამერიკის მაშინდელი ლიდერი საშინლად გააღიზიანა.

ნაწყენმა, თავის საყვარელ ტვიტერში დაწერა, ამერიკას ასე არ უნდა ელაპარაკებოდნენო, და დანიაში დაგეგმილი სახელმწიფო ვიზიტიც გადადო, თუმცა, ამ უცნაურ ინციდენტს დიდი არაფერი გაუფუჭებია ორ მეგობარ ქვეყანას შორის. პირიქით, ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, ურთიერთობა გაუმჯობესდა კიდეც. პრემიერმა ფრედერიქსენმა, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, შეერთებული შტატების პრეზიდენტს სთხოვა, რომ ამერიკას ევროპაში და, კერძოდ დანიაში, თავისი სამხედრო კონტინგენტი გაეზარდა, იმ რწმენითა და იმედით, რომ ამერიკა ევროპული მშვიდობისა და დემოკრატიის ყველაზე დიდი და მტკიცე დამცველია.

მეტე ფრედერიქსენი ჩრდილოეთ დანიის ქალაქ ოლბორგში საშუალო ფენის ოჯახში დაიბადა. მამა სტამბაში მუშაობდა და დედა სოციალური მუშაკი იყო. სკოლის წლებში, მეტე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ცხოველთა დაცვის ორგანიზაციების საქმიანობაში. უმაღლეს განათლებას მშობლიური ქალაქის უნივერსიტეტში დაეუფლა სოციალურ მეცნიერებათა განხრით. მერე, კოპენჰაგენის უნივერსიტეტში სწავლობდა, სადაც აფრიკულ კვლევათა მაგისტრის წოდება მიიღო. უნივერსიტეტის წლებიდანვე, პოლიტიკურად აქტიური გახლდათ.

გიმნაზიაში სწავლის დროს, 15 წლის გოგონა, უკვე, დანიის სოციალ-დემოკრატთა პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი იყო. სოციალ-დემოკრატიული პარტია ქვეყანაში ერთ-ერთი უძველესი პარტიაა, და როგორც მმართველი პოლიტიკური ძალა, არაერთხელ ყოფილა ქვეყნის სათავეში. სოციალ-დემოკრატთა ახალაზრდულ ორგანიზაციაში მეტემ დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა და ორატორობის არაჩვეულებრივი ნიჭი გამოამჟღავნა. 2000 წელს ის დანიის პროფკავშირთა გაერთიანების მრჩეველი იყო ახალგაზრდულ საკითხებში.

23 წლის ასაკში, ჯერ კიდევ სტუდენტი, დანიის პარლამენტის ფოლკეტინგის წევრად აირჩიეს და სოციალ-დემოკრატთა ოფიციალური წარმომადგენელი გახდა კულტურის, მედიისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში. მოგვიანებით, პარტიის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა. 2002 წელს, დანიის ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნინა ბანგის სახელობის ჯილდო მიიღო პოლიტიკური გამბედაობის, ენთუზიაზმისა და სოციალური გავლენისთვის. 2010 წელს, მეტე ფრედერიქსენი თავის პარტიაში უკვე მომავალი პრემიერობის კანდიდატად მოიაზრებოდა. მალე, არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვების შემდეგ, ქალბატონ ჰელე თორნინგ-შმიდტის პირველ კაბინეტში მეტე ფრედერიქსენი დასაქმების მინისტრად დაინიშნა, ხოლო მის მეორე მთავრობაში, იუსტიციის სამინისტროს ჩაუდგა სათავეში. იუსტიციის მინისტრობის დროს, ფრედერიქსენის თაოსნობით ორი მნიშნელოვანი პროგრამა განხორციელდა: ისლამური ექსტრემისტების დერადიკალიზაცია, რომელიც ახალგაზრდა ისლამისტებს რესოციალიზაციაში ეხმარება.

მეორე პროგრამა ლტოლვილთა რეპატრიაციას ეხება. აქ ფრედერიქსენი ხისტი პოლიტიკის გატარების მომხრე იყო. ნიშანდობლივია, რომ სოციალ-დემოკრატები, ადრე, ლტოლვილების ინტეგრაციის მომხრენი იყვნენ. ახლა კი, სრულიად საპირისპირო პოზიციაზე დგანან. იუსტიციის მინისტრის რანგში, ფრედერიქსენს პირდაპირ აქვს ნათქვამი, რომ ამ საკითხში კომპრომისებზე არასოდეს არ წავა. 2015 წელს, სოციალ-დემოკრატებმა საყოველთაო არჩევნებში მარცხი განიცადეს, პრემიერ-მინისტრი, ქალბატონი ჰელე თორნინგ-შმიდტი გადადგა და პარტიაში ლიდერის ვაკანსია გაჩნდა. შიდაპარტიულ არჩევნებში გამარჯვება ქალბატონ ფრედერიქსენს ერგო.

იგი, მომდევნო ოთხი წლით, პარტიის თავმჯდომარე და ოპოზიციის ლიდერი გახდა. 2019 წელს, მისი მეთაურობით, მემარცხენე ძალებმა ფოლკეტინგის არჩევნებში წარმატებას მიაღწიეს, და ოთხ-პარტიული კოალიციის შექმნით, ხელისუფლებაში დაბრუნება შესძლეს. მეტე ფრედრიქსენის სახით, დანიის ისტორიაში ქვეყანას ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი ჩაუდგა სათავეში. ფრედრიქსენი ძლიერი სოციალური დახმარების მომხრეა. ასე თქვა, ბავშვთა პრემიერ-მინისტრი მინდა გავხდეო, ანუ სახელმწიფოსგან ბავშვებისთვის ყველანაირი დახმარების მომხრეა. 2021 წელს, მისი თაოსნობით, მთავრობამ მიიღო გეგმა, სახელწოდებით, ბავშვთა აქტი, რომლის მიხედვით, უნდა გაიზარდოს სოციალური დახმარება ბავშვებისთვის.

ასევე, ეს გეგმა მოძალადე დედამამისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევას, მათი განქორწინების შემთხვევაში კი, ბავშვებისთვის მეტი უფლებების მიცემას ითვალისწინებს. ფართო საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია, აგრეთვე, კვერნისებრი ძუძუმწოვარა ცხოველის, წაულას 17-მილიონიანი პოპულაციის სრული განადგურების გადაწყვეტილებამ მას შემდეგ, რაც ფერმებში ამ ცხოველისგან ადამიანებზე მუტირებული კორონავირუსის გადაცემის შემთხვევები აღინიშნა. პრემიერ-მინისტრმა ეს გარემოება საზოგადოებისთვის მაღალ საფრთხედ შეაფასა და ფერმერთა დასახმარებლად პოლიციისა და არმიის ნაწილები გაგზავნა, თუმცა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ღონისძიება უკანონოდ მიიჩნია და პროტესტის ნიშნად გადადგომა გადაწყვიტა. მეტე ორჯერ იყო ქორწინებაში. პირველი ქორწინებიდან ქალ-ვაჟი ყავს. 2010 წელს, სკანდალი აუგორდა: დანიის ერთ-ერთმა მედიასაშუალებამ ფრედერიქსენი თვალთმაქცობაში დაადანაშაულა, რადგან შვილი კერძო სკოლაში შეიყვანა.

ამ დროს, თვითონ მოუწოდებდა მშობლებს, ბავშვები საჯარო სკოლაში შეიყვანეთო. პრემიერი არ დაიბნა და ბრალდებაზე განაცხადა, რომ მხოლოდ ქალიშვილის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა და გადაწყვეტილებას არ ნანობს. მეორეჯერ, მეტე ფრედერიქსენი ცნობილ კინორეჟისორ ბო ტენგბერგზე დაქორწინდა. მათ ორჯერ მოუწიათ ქორწილის გადადება. ერთხელ საყოველთაო არჩევნების გამო და მეორეჯერ, ევროკავშირის სამიტთან დაკავშირებით. ბოლოს და ბოლოს, 2020 წლის ზაფხულში, როგორც იქნა, მოაწერეს ხელი...

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის კმ27+840-კმ35+500 (საგარეჯოს შემოვლითი გზა) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების მედეა ჭიკაძის (პ/ნ 36801057129) და მიხეილ ჭიკაძის (პ/ნ 36001000780) (შემდგომში - მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ადმინისტრაციულ ერთეულ თოხლიაურში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების, მთლიანი მიწის ნაკვეთის (ს/კ 55.10.52.014.007) ფართობით 2 875 კვ. მ. (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 13 ივლისის №1-1/302 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ადმინისტრაციულ ერთეულ თოხლიაურში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების, მთლიანი მიწის ნაკვეთზე (ს/კ 55.10.52.014.007) ფართობით 2 875 კვ. მ.. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების საკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

დააკავეს 17 „დემოკრატი“ კონგრესმენი

ვაშინგტონში, აბორტების აკრძალვის მოწინააღმდეგეთა აქციაზე 35 ადამიანი, მათ შორის 17 „დემოკრატი“ კონგრესმენი დააკავეს. უზენაეს სასამართლოსთან გამართული აქციის დროს დაკავებულებს შორის არიან კონგრესის წევრები ალექსანდრია ოკასიო-კორტესი, რაშიდა ტლაიდი და ილჰან ომარი.

დემონსტრანტები სკანდირებდნენ ლოზუნგს „ხელები შორს ჩვენი სხეულებისგან“ და ქუჩის ბლოკირება სცადეს, რის შემდეგაც ისინი პოლიციამ დააკავა. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ აბორტის კონსტიტუციური უფლება გააუქმა, რომელიც თითქმის 50 წლის განმავლობაში მოქმედებდა. 16 ივლისს აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც აბორტის უფლების განხორციელებისთვის ფედერალური გარანტიების უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

ᲡᲐᲢᲔᲜᲓᲔᲠᲝ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ

შემსყიდველი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

პროექტი: კახეთის სატრანსპორტო კავშირის გაუმჯობესების პროექტი

კონტრაქტის დასახელება: საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-5) თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის საგარეჯო-ბადიაურის კმ35+500-კმ52+540 მონაკვეთის (ლოტი 3) სამშენებლო სამუშაოები

ქვეყანა: საქართველო

სესხის No: 9361-GE

სატენდერო მოწვევა: KCIP/CW/RFB-01

გამოქვეყნების დრო: 2022 წლის 20 ივლისი

1. საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **„კახეთის სატრანსპორტო კავშირის გაუმჯობესების პროექტისთვის“**. აღნიშნული პროექტიდან გარკვეული თანხა გამოყენებული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ასანაზღაურებლად. კონტრაქტის დასახელებაა: **საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-5) თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის საგარეჯო-ბადიაურის კმ35+500-კმ52+540 მონაკვეთის (ლოტი 3) სამშენებლო სამუშაოები.**

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კომპანიებს წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები აღნიშნული სამუშაოების შესრულების მიზნით. სამუშაოების შესრულების პერიოდი მოიცავს **30 თვეს**. საგარეჯო - ბადიაურის (ლოტი 3) მონაკვეთის საპროექტო სიგრძე შეადგენს დაახლოებით 17 კმ-ს. პროექტით გათვალისწინებულია ასფალტის საფარიანი, 4-ზოლიანი გზის მოწყობა, საპროექტო სიჩქარით - 120კმ/სთ, რომელიც შეამცირებს გადაადგილების დროს თბილისიდან ლაგოდეხამდე. პროექტის ფარგლებში აშენდება ახალი სატრანსპორტო კვანძი სოფ. ბადიაურთან, მოეწყობა 2 მაგისტრალური ხიდი, 2 სახიდე გადასასვლელი, 8 მილხიდი და 86 წყალგამტარი მილი. პროექტით ასევე გათვალისწინებულია საპროექტო მონაკვეთის მიმდებარედ არსებული ადგილობრივი საგზაო ქსელის გაუმჯობესება და მათი დაკავშირება აღნიშნულ მონაკვეთთან.

3. პრეტენდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიარონ საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური სულ მცირე **10,000,000.00 აშშ დოლარის** ოდენობით, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით;

ბ. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში (2017, 2018, 2019, 2020 და 2021) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა სულ მცირე **80,000,000.00 აშშ დოლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებისგან, გაყოფილი 5 წელზე;

გ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2017 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** ერთ კონტრაქტს ღირებულებით არანაკლებ **80,000,000.00** აშშ დოლარი, ან ორ კონტრაქტს ჯამური ღირებულებით არანაკლებ **80,000,000.00** აშშ დოლარი, რომელთაგანაც თითოეულის ღირებულება იქნება სულ მცირე **40,000,000.00** აშშ დოლარი. წარმოდგენილი პროექტები წარმატებით უნდა იყოს განხორციელებული და არსებითად დასრულებული და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსი;

დ. 2017 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად სამუშაოებში:

ნებისმიერი ერთი წლის განმავლობაში, სულ მცირე 215,000 მ² ასფალტის საფარიანი გზის მოწყობის სამუშაოები.

ნებისმიერი უწყვეტი ორი წლის განმავლობაში, სულ მცირე 2,245,000 მ³ მიწის სამუშაოები.

ნებისმიერი უწყვეტი ორი წლის განმავლობაში სატრანსპორტო ხიდის მშენებლობა, ხიდის გემბანის საერთო ფართობით - 2,850 მ².

ე. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს 2017 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში გარემოსა და სოციალური რისკების და ზემოქმედების მართვას, კერძოდ: ავტომაგისტრალის მშენებლობის ხელშეკრულებების ფარგლებში გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების განხორციელება.

4. სამუშაოების შესყიდვა ჩატარდება „საერთაშორისო ტენდერის“ (Request for Bids) პროცედურით, რომელიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - „Procurement Regulations for IPF Borrowers - Procurement in Investment Project Financing” dated November 2020, Fourth edition” და ღიაა ყველა უფლებამოსილი პრეტენდენტისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია აღნიშნული შესყიდვების სახელმძღვანელოში.

5. სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ.

6. სატენდერო წინადადებები უნდა აიტვირთოს ელექტრონულად, სატენდერო დოკუმენტაციის ინსტრუქციის ტენდერში მონაწილეთათვის 22.1 პუნქტის შესაბამისად. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება. სატენდერო წინადადებების ელექტრონული წარმოდგენის ბოლო ვადაა: როგორც აღნიშნულია სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემაში (http://procurement.gov.ge/en).

7. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადების ფასი უნდა მიუთითონ ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. სატენდერო წინადადების ფასის არ მითითება ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში გამოიწვევს სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაციას.

8. ტენდერის გახსნა მოხდება ელექტრონულად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით. ტენდერის გახსნის ოქმი აიტვირთება შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადების გახსნის შემდეგ.

9. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 4,500,000.00 (ოთხი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია წარმოდგენილია სხვა ვალუტაში, გარდა ქართული ლარისა, გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური გაცვლითი კურსი (www.nbg.gov.ge). გაცვლითი კურსის მოქმედი თარიღია: წინადადების წარდგენის ვადამდე 28 დღით ადრე. პრეტენდენტებმა ორიგინალი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია უნდა წარმოადგინონ შემდეგ ვადებში: წინადადებების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. ორიგინალი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია უნდა წარმოადგინონ ქვემოთ მოცემულ მისამართზე:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქალბატონი სალომე წურწუმია - თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზ. 12

ქალაქი: თბილისი, 0160

ქვეყანა: საქართველო

შენიშვნა: სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის დაგვიანებული წარმოდგენა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

10. ყურადღება გამახვილებულია შესყიდვების რეგულაციებზე, რომელიც მოითხოვს, რომ მსესხებელმა გაამჟღავნოს ინფორმაცია გამარჯვებული პრეტენდენტის ბენეფიციარი საკუთრების შესახებ, როგორც კონტრაქტის მინიჭების შესახებ შეტყობინების ნაწილი, ბენეფიციარი საკუთრების გამჟღავნების ფორმის გამოყენებით, როგორც ეს მოცემულია სატენდერო დოკუმენტში.

11. დამატებითი ინფორმაცია:

შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ინსტრუქცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.youtube.com/watch?v=hQak4jPorj4&feature=youtu.be

შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტენდერზე ინსტრუქცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.youtube.com/watch?v=9O3W8_WiDgg&feature=youtu.be

Specific Procurement Notice Request for Bids Works (Without Prequalification)

Employer: Roads Department of Georgia under the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Project: Kakheti Connectivity Improvement Project (KCIP)

Contract title: CONSTRUCTION WORKS OF LOT 3 SAGAREJO - BADIAURI SECTION FROM KM35+500 TO KM52+540

Country: Georgia

Loan No.: 9361-GE

RFB No: KCIP/CW/RFB-01

Issued on: July 20, 2022

1. The Government of Georgia has received financing from the World Bank toward the cost of the Kakheti Connectivity Improvement Project (KCIP) and intends to apply part of the proceeds toward payments under the contract for CONSTRUCTION WORKS FOR LOT 3- SAGAREJO - BADIAURI SECTION FROM KM35+500 TO KM52+540 OF TBILISI – BAKURTSIKHE – LAGODEKHI HIGHWAY (KAKHETI HIGHWAY).

2. The Roads Department of Georgia under the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites Bids from eligible Bidders for these works. Implementation period for the execution of works is **30 months** The Project's aim is to construct the 17-km section between Sagarejo and Badiauri, referred to as "LOT 3", of the Tbilisi – Bakurtsikhe – Lagodekhi highway (the "Kakheti highway"). LOT 3 will have a design speed of 120 km/ph, will traverse an alignment slightly to the south of the existing S5 road, and will comprise flexible pavement to accommodate eventual settlements. It will be constructed to a total width of 28m with hard shoulders and separated by a median. The section's design includes the construction of median-separated carriageways in each direction, comprising 2 lanes (7.5m wide) and a paved hard shoulder (2.5m), for a total width of 28m. The design further includes construction of one grade-separated interchange, located southeast of Badiauri. As flood risk mitigation and climate change adaptation measures, LOT 3 will comprise 4 bridges, including 2 highway bridges and 2 overpass bridges; approximately 94 box culverts; side drainage; elevated embankments, up to 8m in height, across most of its alignment; and flexible pavement to accommodate soil settlement. LOT 3 civil works will also include development of access roads that will connect the highway section to the existing road and local communities. The highway, structures, and all access roads will be constructed to climate resilient international standards.

3. Bidders shall meet the following minimum qualification criteria to qualify for award of the contract:

a. The Bidder shall demonstrate that it has access to, or has available, liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means (independent of any contractual advance payment) sufficient to meet the construction cash flow requirements estimated as **USD $ 10,000,000 (Ten Million United States Dollars)** for the subject contract(s) net of the Bidder's other commitments.

b. Minimum average annual construction turnover of **US$ 80,000,000 (Eighty Million United States Dollars),** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within the last 5 (five) years.

c. A minimum number of similar contracts specified below that have been satisfactorily and substantially completed as a prime contractor, joint venture member, management contractor or Subcontractor between **1st January 2017 and bid submission deadline:** (i) 1 contract with minimum value of **USD 80,000,000 (Eighty Million United States Dollars)** equivalent Or (ii) 2 contracts, each of minimum value **USD 40,000,000 (Forty Million United States Dollars)** equivalent, but with total value of all contracts equal or more than **USD 80,000,000 (Eighty Million United States Dollars)** equivalent.

d. As prime contractor, joint venture member, or Subcontractor between **1st January 2017** and Bid submission deadline, a minimum construction experience in the following key activities successfully completed

a) in any 12 months continuous period:

Road Asphalt Pavement – 215,000 m²;

b) in any 24 months' consecutive period:

Earthworks - 2,245,000 m3;

Transport Bridge Construction with aggregate Bridge Deck of - 2,850 m²;

e. As prime contractor, joint venture member, or Subcontractor between **1st January 2017** and Bid submission deadline, experience in managing ES risks and impacts in the following aspects: Implementation of **Environmental and Social Management Plans** under highway construction contracts.

4. Bidding will be conducted through international competitive procurement using Request for Bids (RFB) as specified in the World Bank's "Procurement Regulations for IPF Borrowers - Procurement in Investment Projects Financing" dated November 2020, Fourth Edition ("Procurement Regulations"), and is open to all eligible Bidders as defined in the Procurement Regulations.

5. A complete set of bidding documentation in English language in electronic format can be downloaded for free.

6. Bids shall be submitted electronically as outlined in ITB 22.1. Late bids will not be accepted. Deadline for electronic bids submission is: as stated in the State E-procurement System (http://procurement.gov.ge/en).

7. Bidders shall indicate bid price in electronic field in Georgian E-Government Procurement System, failing to do so, will result in rejection of such bid.

8. Bid opening will take place electronically using Georgian E-Government Procurement System. The Minutes of the Bid Opening will be uploaded in the E-Procurement System following the bid opening.

9. A Bid Security shall be required. The amount and currency of the Bid Security shall be **GEL 4,500,00,000 (Four Million Five Hundred Thousand Georgian Lari)** or equivalent in any freely convertible currency.

In case if Bid Security will be submitted in any currency other than Georgian Lari, the exchange rate published by National Bank of Georgia (www.nbg.gov.ge) shall be used. The date for the exchange rate shall be: 28 days prior to the deadline of bid submission.

The bidders shall upload the scanned copy of the bid security as part of their bids in the Georgian E-Government Procurement System.

The Original Bid Security, the scanned copy of which is already submitted as part of bid within the bid submission deadline, shall be delivered within the following timeframe: no later than 10 business days from the bid submission deadline in original form to the following address of the Employer:

Roads Department of Georgia under the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Attention: Ms. Salome Tsurtsumia, Deputy Chairperson

Address: 12, Al. Kazbegi Ave

City: Tbilisi

ZIP Code: 0160

Country: Georgia

NOTE: Due to belated delivery of the Original Bid Security, the Bid shall be rejected by the Employer as non-responsive.

10. Attention is drawn to the Procurement Regulations requiring the Borrower to disclose information on the successful bidder's beneficial ownership, as part of the Contract Award Notice, using the Beneficial Ownership Disclosure Form as included in the bidding document.

11. Supplementary Information:

- Instruction for registration on the E-Procurement System can be found on the following link: https://www.youtube.com/watch?v=hQak4jPorj4&feature=youtu.be
- Instruction for bidding on the E-Procurement System can be found on the following link: https://www.youtube.com/watch?v=9O3W8_WiDgg&feature=youtu.be

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ბაზისბანკის“ (ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უფლებამონაცვლე) განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი გურგენიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გურგენიძე (პ/ნ 60001147393), თბილისი, ჩაჩავას ქ. 4, სართ. 4, ბინა 19

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, ჩაჩავას ქ. 4, სართ. 4, ბინა 19 (საკადასტრო კოდი: 01.13.02.004.063.01.01.019).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 204226.93 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 21 ივლისი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 4 აგვისტო, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271 ძ 80704822;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 807048

6. **მოვალე:** გიორგი გურგენიძე (პ/ნ 60001147393), თბილისი, ჩაჩავას ქ. 4, სართ. 4, ბინა 19.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP80704822; ლოტის ნომერი: 807048).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 4 აგვისტოს 10:00 საათამდე.

დემი ლაოშვილი – ღირსეული მამულიშვილი

საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა და ქვეყნის სამეცნიერო-პედაგოგიურმა საზოგადოებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტროენერგეტიკის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის დირექტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ეროვნული ენერგეტიკული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დემი ლაოშვილი.

იგი დაიბადა 1940 წელს ქ. ხაშურში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დ. ლაოშვილმა სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1962 წელს. ასპირანტურის დამთავრებისა და საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ იგი დაბრუნდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც განვლო გზა პროფესორობამდე, ენერგეტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორობამდე.

დიდია პროფ. დ. ლაოშვილის დამსახურება ეროვნული ენერგეტიკული კადრების აღზრდის საქმეში. 1981-1991 წლებში იგი მუშაობდა ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანად, 1991-1995 წლებში — ენერგეტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორად, 1995-2005 წლებში, ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ — ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანად. განვლილ პერიოდში დ. ლაოშვილის ხელმძღვანელობით ენერგეტიკის ფაკულტეტმა გამოუშვა 7000-ზე მეტი ინჟინერ-ენერგეტიკოსი, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის ობიექტებზე, მსხვილი სამრეწველო საწარმოების ენერგეტიკულ სამსახურებში, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.

აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას პროფ. დ. ლაოშვილი წარმატებით უთავსებდა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. იგი არის 220-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომის, მათ შორის 11 სახელმძღვანელოსა და ორი მონოგრაფიის, რიგი მეთოდური მითითებების ავტორი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ერთი სადოქტორო და სამი საკანდიდატო დისერტაცია.

პროფ. დ. ლაოშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება იყო ელექტროენერგეტიკული სისტემების საიმედოობისა და მისი ოპტიმიზაციის პრობლემები, რომელსაც მან ორი მონოგრაფია მიუძღვნა. მანვე დაამუშავა ელექტრომომარაგების სისტემების საიმედოობის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული გაანგარიშების მეთოდები, უპირატესად მთიანი რეგიონებისათვის, რაც საფუძვლად დაედო მის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც დაიცვა 1993 წელს. 1994 წელს დ. ლაოშვილს პროფესორის სამეცნიერო წოდება მიენიჭა.

პროფესორ დ. ლაოშვილს კარგად იცნობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სამეცნიერო-ენერგეტიკული საზოგადოება. იგი იყო 60-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის, სიმპოზიუმისა და ფორუმის მონაწილე, რიგი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, საერთაშორისო სამეცნიერო ორგანოს — ჟურნალ „ენერგეტიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. პროფ. დ. ლაოშვილი სისტემატურად მონაწილეობდა საქართველოს ენერგეტიკის პრობლემების შემსწავლელ საპრეზიდენტო, საპარლამენტო და სამთავრობო კომისიების მუშაობაში.

დ. ლაოშვილის ინიციატივით 1997 წელს შეიქმნა ელექტროენერგეტიკის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი, სადაც მუშავდება ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა ენერგოსისტემის რეაბილიტაცია მეზობელი ქვეყნების ენერგეტიკულ სისტემებთან ურთიერთკავშირის პირობებში; ენერგეტიკულ სისტემაში მიმდინარე დინამიკური პროცესების ოპტიმიზაცია ენერგეტიკული მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით; ენერგეტიკული სისტემის რეაბილიტაცია 220-500 კვ ძაბვის ქსელებში აქტიური და რეაქტიული სიმძლავრეების ოპტიმალური რეგულირების დროს მათი დანაკარგების შემცირების მიზნით.

პროფესორ დ. ლაოშვილის მიერ გამოქვეყნებულია ფუნდამენტური სახელმძღვანელოები ელექტროენერგეტიკული პროფილის ყველა სპეციალობის სტუდენტებისა და მაგისტრანტებისათვის. მისი სახელმძღვანელოები „ენერგეტიკა“, „ელექტრომომარაგება“, „ზოგადი ენერგეტიკია“ და „ელექტროენერგეტიკა“, სტუდენტებისა და ენერგეტიკული სისტემის საინჟინრო პერსონალის სამაგიდო წიგნებად იქცა.

საქართველოში ტექნიკური მეცნიერების განვითარებისა და მაღალკვალიფიციური ენერგეტიკული კადრების აღზრდის საქმეში შეტანილი თვალსაჩინო პირადი წვლილისათვის პროფ. დ. ლაოშვილი 1998 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

სახელმძღვანელოსათვის „ენერგეტიკა“ პროფ. დ. ლაოშვილს 2004 წელს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება, ხოლო სახელმძღვანელოსათვის „ელექტრომომარაგება“ 2006 წელს საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრემია მიენიჭა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის პროფ. დ. ლაოშვილი დაჯილდოვებულია მედლით „გიორგი ნიკოლაძე“.

მინდობილი საქმისადმი ერთგულებამ და მაღალმა პასუხისმგებლობამ, კოლეგიალობამ და ორგანიზებულობამ, სტუდენტების მიმართ მზრუნველმა და ამავე დროს პრინციპულმა და საქმიანმა დამოკიდებულებამ დ. ლაოშვილს დამსახურებული აღიარება და ავტორიტეტი მოუპოვა ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, აგრეთვე ენერგეტიკული სისტემის საინჟინრო პერსონალს შორის. დიდი გულისტკივილით მივაცილებთ დემი ლაოშვილს ზეციურ საქართველოში. დაუვიწყარია მისი სახელი და ღვაწლი. იგი ღირსეულ ადგილს დაიკავებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ისტორიაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტი

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს ტექნიკურ-მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის წევრის

დემი ლაოშვილის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს ტექნიკურ-მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს ენერგეტიკული აკადემიის წევრის, ორგზის ღირსების ორდენის კავალერის, საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის წევრის

შალვა ნაჭყებიას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.

საფეხბურთო მოზაიკა

„ნაპოლი“ მომდევნო სეზონში 4-3-3 ტაქტიკური სქემით ითამაშებს. Corriere Dello Sport-ის ინფორმაციით, ლუჩანო სპალეტი ვარჯიშებზე გუნდს დაჟინებით ამ სქემაზე ამუშავებს.

სპალეტის სათადარიგო ვარიანტიც აქვს (4-2-3-1), მაგრამ მთავარი სქემა 4-3-3 იქნება. ამ ამბავში ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ იტალიელი სპეციალისტი განსაკუთრებულ ყურადღებას **ხვიჩა კვარაცხელიას** უთმობს და სამკაციან შეტევაში აქცენტს მასზე აკეთებს.

„სხვათა შორის, ქართველმა კვარაცხელიამ დიმაროში ტიფოზები თავისი ნიჭით ასიამოვნა და გარდა ამისა, ვარჯიშებზე ფეხის ტენისის თამაშის დროს ულამაზესი აკრობატული თამაშით არაერთხელ გამოირჩა“, – წერს რომაული გამოცემა.

ამრიგად, კვარაცხელია ნეაპოლში უკვე ყურადღების ცენტრშია. „ნაპოლიმ“ დიმაროში მზადება დაასრულა და ახლა შეკრებას კასტელ ვოლტურნოში გააგრძელებს. დიმაროში „აძურიმ“ ორი მატჩი ჩაატარა, კვარაცხელიამ ორჯერვე მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, თუმცა 3 გოლის გატანა და 1 საგოლე პასის გაკეთება მაინც მოასწრო.

* * *

ესპანურმა „ვალენსიამ“ სეზონის პირველი ამხანაგური მატჩი გამარჯვებით დაასრულა და „დორტმუნდი“ 3:1 დაამარცხა. გიორგი მამარდაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 62 წუთი ითამაშა.

ქართველმა მეკარემ 5 სეივი მიითვალა და გოლი კი გაუშვა, მაგრამ მხოლოდ პენალტით, რომელიც მარკო როისმა გაუტანა.

ესპანურმა გამოცემა Eldesmarque მამარდაშვილი მატჩის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა და მისი თამაში 8 ქულით შეაფასა. ასევე 8 ქულა დაუწერეს სამუ კასტილიეხოს და მხოლოდ გონსალო გედეშმა დაიმსახურა უფრო მაღალი შეფასება – 9 ქულა.

„სეზონი ისე იწყება, როგორც წინა დასრულდა. დამაჯერებელი, დამზღვევი და გადაულახავი კედელი“, – წერს ესპანური ვებ-გვერდი. შეგახსენებთ, რომ „ვალენსია“ ლა ლიგის პირველ ტურში 14 აგვისტოს „ჟირონას“ უმასპინძლებს.

* * *

მიუნხენის „ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა იულიან ნაგელსმანმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, როგორ ახერხებს „ბარსელონა“ ნებისმიერი ფეხბურთელის ყიდვას, რომელიც სურს, იმის ფონზე, რომ ფული არ აქვს.

„ბარსელონა“ ერთადერთი კლუბია, რომელსაც ფული არ აქვს, მაგრამ საბოლოოდ ნებისმიერ მოთამაშეს ყიდულობს, რომელიც უნდა. არ ვიცი, ამას როგორ აკეთებენ, ცოტა უცნაურია, ცოტა სიგიჟეა“, – თქვა ნაგელსმანმა.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონამ“ „ბაიერნს“ **რობერტ ლევანდოვსკის** ტრანსფერში 45 მილიონი ევრო გადაუხადა, 5 მილიონ ევროს კი ბონუსის სახით დაუმატებს.

ამასობაში კატალონიის „ბარსელონამ“ რობერტ ლევანდოვსკის ტრანსფერი ოფიციალურად დაადასტურა.

„ბლაუგრანას“ ვებ-გვერდი იტყობინება, რომ 33 წლის ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და კონტრაქტი 2026 წლის ზაფხულამდე გააფორმა.

საინტერესოა, რომ ესპანურმა კლუბმა პოლონელის გამოსასყიდი ფასი 500 მილიონი ევროთი განსაზღვრა.

შეგახსენებთ, რომ რობერტ ლევანდოვსკი „ბაიერნში“ 2014-2022 წლებში თამაშობდა და 375 შეხვედრაში 344 გოლი გაიტანა. მანამდე პოლონელი დორტმუნდის „ბორუსიასა“ და პოზნანის „ლეხის“ ღირსებას იცავდა.

* * *

ნიდერლანდების ნაკრების მცველი მატეის დე ლიხტი მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა. გერმანულმა გრანდმა ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა.

22 წლის ფეხბურთელმა „რეკორდმაისტერთან“ კონტრაქტი 2027 წლის ზაფხულამდე გააფორმა, ხოლო მისი ტრანსფერის სანაცვლოდ „იუვენტუსმა“ 80 მილიონ ევროზე ოდნავ მეტი მიიღო.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ დიდ კლუბს შევუერთდი, რომელიც გერმანიაში ყველაზე მეტად, ევროპასა და მსოფლიოში კი ერთ-ერთი წარმატებულია“, – თქვა დე ლიხტმა.

მატეის დე ლიხტი „იუვენტუსში“ 2019-2022 წლებში თამაშობდა და 117 შეხვედრაში მეტოქეთა კარი 8-ჯერ დალაშქრა. მანამდე ის ამსტერდამის „აიაქსის“ ღირსებას იცავდა და ნიდერლანდურ გრანდშიც 117-ჯერ ითამაშა, გოლი კი 13-ჯერ გაიტანა. ნიდერლანდების ნაკრებში დე ლიხტის აქტივში 38 მატჩი და 2 გოლია.

◎ ხალიჩაზე

ტალანტის დუბლი

14 წლის ვახტანგ ლოლუა ერთი თვის წინათ 17-წლამდელთა შორის გახდა კონტინენტის ჩემპიონი, ამჯერად კი 15-წლამდელებში მოახერხა ევროპული ტიტულის მოპოვება.

17-წლამდელებში ლოლუამ 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში მიაღწია წარმატებას, ხოლო 15-წლამდელებში 52 კილოგრამში გახდა ჩემპიონი!

მანამდე ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში მიმდინარე 15-წლამდელ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს გოგონათა ნაკრები 2 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი და ორივემ მედალი მოიპოვა. **მირანდა კაპანაძე** ვერცხლს დასჯერდა, **ანა გოდელაშვილი** – ბრინჯაოს.

მირანდა კაპანაძე (50 კგ) ასპარეზობაში 1/8 ფინალიდან ჩაერთო. ქართველმა გოგონამ ესტონელი დარია იერემეიევა, უკრაინელები ვერონიკა პავლიჩენკო და იელიზავეტა ლუცენკო დაამარცხა, მაგრამ ფინალში ნიდერლანდელ შეილა ჯოსეფინ ვან ოსთან დამარცხდა.

ანა გოდელაშვილმა (66 კგ) ევროპის ჩემპიონატი საკვალიფიკაციო რაუნდიდან დაიწყო და პოლონელი ოლივია ვიქტორია დელონგი და ბულგარელი ნატალია ჰრისტოვა დინევა დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალში უკრაინელ ხრისტინა დემჩუკთან წააგო, ბრინჯაოს მედლისთვის გადამწყვეტი ბრძოლა კი ლატვიელ ვიქტორია ირკლეს მოუგო.

◎ დოჰიოზე

კიდევ ორი...

ნაგოია ბაშოს დასრულებამდე 4 დღე რჩება და ტოჩინოშინმა მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება შეძლო. ქართველ სუმოისტს ბოლო 2 ორთაბრძოლა წაგებული ჰქონდა და ეს დაპირისპირება ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ლევან გორგაძის მეტოქე მე-10 მაეგაშირა მაისეი გახლდათ, რომელთანაც მე-6 შეხვედრა ჩაატარა და ურთიერთშეხვედრებში მოგება-წაგების ბალანსში გაუთანაბრდა – 3:3.

გუშინდელი ორთაბრძოლა იოლი ნამდვილად არ ყოფილა. ტოჩი უპირატესობას ფლობდა, თუმცა, გამარჯვების მოსაპოვებლად დიდი ბრძოლა დასჭირდა. საბოლოოდ, ჩვენებურმა მეტოქე დოჰიოს კიდესთან მიიმწყვდია და მერე გადაყვანა არ გასჭირვებია.

ტოჩინოშინს ზაფხულის ბაშოზე 6 გამარჯვების საწინააღმდეგოდ 5 მარცხი აქვს და მომავალი 4 ბრძოლა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დადებითი ბალანსისთვის მინიმუმ 2 გამარჯვება სჭირდება. ქართველი გოლიათი დღეს მე-17 მაეგაშირა ნიშიკიფუჯს შეხვდება, რომელსაც მიმდინარე ტურნირზე 8:3 ბალანსი აქვს და კარგ კონდიციებშია, ტოჩის კი აქამდე არასოდეს შეხვედრია.

◎ ოკეანის გაღმა

ძველი გვარდია

როგორც ყოველთვის, მაღალი დონის შეჯიბრებებზე, ყველაზე უკეთ, გამოცდილება და გამარჯვების სულისკვეთება მუშაობს. ასეა იუჯინში მიმდინარე მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზეც, სადაც ის ათლეტები აღწევენ წარმატებას, რომლებმაც ტოკიოს ოლიმპიადაზე ისახელეს თავი.

იმ ოლიმპიურ ჩემპიონებს შორის, რომლებმაც იუჯინში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შედგეს ფეხი, არიან კენიელი მორბენალი ფაით კიპიეგონი, მაროკოელი სტიპლჩეიზერი სუფიან ელ ბაკალი, ბელგიელი შვიდჭიდელი ნაფისატუ თიამი, ყატარელი სიმაღლეზე მხტომელი მუტაზ ბარშიმი და ვენესუელელი სამხტომელი იულიმარ როხასი.

კიპიეგონს ქალთა შორის 1 500 მეტრზე სირბილში ბოლო ორი ოლიმპიადა აქვს მოგებული და ამჯერადაც საუკეთესო იყო. მან ასპარეზობა სამ წუთსა და 52.96 წამში დაასრულა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა. ვერცხლის მედალს ეთიოპიელი გუდაფ ცეგაი დაეუფლა, ბრინჯაო კი ტოკიოს ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონს, ბრიტანელ ლაურა მუირს ერგო. სხვათა შორის, ეს იუჯინში ბრიტანელთა პირველი მედალია. კიპიეგონი მსოფლიოს ჩემპიონი პირველად 2017 წელს გახდა, შემდგ იმშობიარა და 2019 წელს ვერცხლის მედალს დასჯერდა. ოლიმპიური ჩემპიონი ის რიოსა და ტოკიოში გახდა. როხასს სამხტომში ბადალი არ ჰყავს და ის დასაწყისიდან ბოლომდე შეუდარებელი იყო. ოქროს მედალი მან 15.47 მეტრზე გადახტომით მოიპოვა. მსოფლიოს ჩემპიონატებზე ეს მისი ზედიზედ მესამე ტიტულია. ვერცხლის მედალს ზედიზედ მეორედ იამაიკელი შანიეკა რიკეტსი დაეუფლა, ბრინჯაო კი ამერიკელ ტორი ფრანკლინს



ერგო. მამაკაცთა შორის 3 000 მეტრზე სტიპლჩეიზში საუკეთესო იყო ელ ბაკალი. მან მეტოქეებს ტაქტიკური მასტერკლასი ჩაუტარა და კარიერაში პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. რაც ასევე მნიშვნელოვანია, ამ სახეობაში კენიელთა დომინაცია დაასრულა, რომელიც 2005 წლიდან გრძელდებოდა.

ვერცხლის მედალი ეთიოპიელმა ლამეჩა გირმამ მოიპოვა, ვინც ტოკიოშიც ვერცხლს დასჯერდა. კენიელი აწ უკვე ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი კონსესლუს კიპრუტო კი ამჯერად ბრინჯაოს დაეუფლა.

ყატარელი ბარშიმი ტოკიოში იმით დაგვამახსოვრდა, რომ მან სიმაღლეზე ხტომაში ოლიმპიური ოქრო იტალიელ ჯანმარკო ტამბერისთან გაინაწილა, მაგრამ ამჯერად 2.37 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო, რაც სეზონის საუკეთესო შედეგია და მსოფლიო ჩემპიონი ზედიზედ მესამედ გახდა.

ვერცხლის მედალს სამხრეთკორეელი ვუ სანჰიეოკი დაეუფლა, ვინც დახურულ არენებზე მსოფლიოს ჩემპიონია, ბრინჯაოს მედალი კი უკრაინელმა ანდრიი პროცენკომ მოიპოვა. ქალთა შვიდჭიდში დაძაბული პაექრობა ჰქონდათ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ბელგიიდან ნაფისატუ თიამს და ნიდერლანდელ ანუკ ფეტერს. საბოლოოდ, თიამმა გაიმარჯვა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული (რომელიც პირველად 2017 წელს მოიპოვა დაიბრუნა. ფეტერი, ისევე როგორც ტოკიოში, ამჯერადაც ვერცხლის მედალს დასჯერდა, ბრინჯაო კი ამერიკელმა ანა ჰოლმა მოიპოვა.

ᲞᲠᲘᲛᲐᲡ ᲒᲐᲚᲐ-ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲫ ᲙᲐᲜᲨᲘ, ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲞᲐᲚᲔ ᲓᲔ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, ᲞᲠᲘᲛᲐ ᲑᲐᲚᲔᲠᲘᲜᲐ ᲘᲠᲛᲐ ᲜᲘᲝᲠᲐᲫᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲗ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲚᲐ-ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲨᲘ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ. ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲘᲛᲐ ᲑᲐᲚᲔᲠᲘᲜᲐ, ᲛᲐᲠᲘᲘᲜᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲘᲠᲛᲐ ᲜᲘᲝᲠᲐᲫᲔ ᲘᲧᲝ.

ღონისძიებაზე „საუკეთესო ბალეტის ერთი საღამო“ — კლასიკური და თანამედროვე ბალეტის რეპერტუარი წარმოადგინეს ვენის, ესპანეთის, სლოვენიის, ინგლისის, ამსტერდამის, უკრაინის ეროვნული ბალეტის ვარსკვლავებმა. ორგანიზატორების განცხადებით, ქართველების დიდი წარმატება და გამარჯვებაა, როდესაც ბრწყინვალე ადგილზე, სადაც კანის ფესტივალი ტარდება, საბალეტო გალა-კონცერტს ქართველი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17ი

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „ᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲜᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲘᲪᲮᲔᲡ ᲕᲔᲠ ᲘᲢᲐᲜᲔᲜ

ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲪᲮᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲬᲧᲕᲚᲐᲓᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ — ᲡᲘᲪᲮᲘᲡ ᲢᲐᲚᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ. ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲣᲚ-ᲡᲘᲡᲮᲚᲫᲐᲠᲦᲕᲗᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲤᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲕᲝᲑᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲜ.

ნიდერლანდელმა მეცნიერებმა 2003 წელს საფრანგეთში დადასტურებული სიცხის ტალღის შედეგები შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ თანაბარი ასაკის გათვალისწინებით ქალებს შორის სიკვდილიანობა 15 პროცენტით უფრო მაღალია, ვიდრე კაცებში. სიცხე განსაკუთრებით საშიშია მოხუცი ქალებისთვის, თუმცა ასაკი მთავარი რისკ ფაქტორი არაა.

„მოხუცები ახალგაზრდებთან შედარებით ორჯერ უფრო ნაკლებ ოფლს გამოყოფენ, ხოლო ქალები - ორჯერ უფრო ნაკლებს, ვიდრე კაცები. შესაბამისად, მოხუცი ქალის სხეული ყველაზე მეტად ინარჩუნებს სიცხეს. გარდა ამისა, გულ-სისხლძარღვთა დატვირთვა ქალებში უფრო მაღალია, რაც სიცხეში სიკვდილიანობის უფრო მაღალ რისკს განაპირობებს“, — ამბობს კვლევის ერთ-ერთი ავტორი ჰაინ დაანენი.

ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲒᲨᲘᲕᲓᲔᲑᲐ...



ᲐᲨᲨ-ᲨᲘ, კალიფორნიაში, ქალაქ მონროვიაში, ქალმა სამზარეულოში დაუპატიჟებელი სტუმრები აღმოაჩინა — დედა დათვი და ბელი სახლში ფანჯრიდან შეიპარნენ და მაგიდაზე დატოვებული მთელი შეკვრა დონატები მიირთვეს.

როგორც სახლის პატრონი ამბობს, ქურდბაცაცა დედა-შვილმა, დანაყრების შემდეგ, სახლი კვლავ ფანჯრიდან დატოვა.

ᲑᲔᲓᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲛᲐᲐ!

ᲓᲘᲓ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ სახლიდან გაქცეული 5 წლის ბიგლის, სახელად ბონი ძაღლების გამოფენაზე მოხვდა და საპრიზო ადგილი დაიკავა. გამოცემის ინფორმაციით, ფელბრიჯში გამართულ გამოფენაზე ძაღლი კაცმა მიიყვანა, რომელმაც ის გზაზე იპოვა. ბონიმ მესამე ადგილი დაიკავა კატეგორიაში „საუკეთესო მაშველი ძაღლი“.



მოგვიანებით გაირკვა, რომ ბონი სახლიდან 10 ივლისს გაიქცა, იმავე დღეს ის ჯონ უილმერმა იპოვა, რომელიც თავის ორ ძაღლთან ერთად მეზობელ ქალაქში, გამოფენაზე მიემართებოდა.

„ისეთი საყვარელი იყო, ვიფიქრე, ცუდი არ ექნებოდა, რომ წამეყვანა. გამოფენაზე ცოტა გვაგვიანდებოდა, მაგრამ ბონი მანქანაში მაინც ჩავისვით. იმის შესახებ სოციალურ ქსელებში დავწერე“, — განაცხადა უილმერმა. მალევე მისი პოსტი ბონის პატრონმა ნახა, ის უილმერს დაუკავშირდა და გამოფენის შემდეგ ძაღლი სახლში დაბრუნდა.

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲰᲐᲜᲒᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ The Chainsmokers იქნება პირველი ჯგუფი, რომელიც კოსმოსში დაუკრავს. ენდრიუ ტაგარტისა და ალექს პოლის დუეტი კოსმოსში 2024 წელს დაუკრავს.

მუსიკოსებმა უკვე მოაწერეს ხელი კონტრაქტს და მონაწილეობას მიიღებენ კოსმოსური ტურიზმის სფეროში მომუშავე კომპანია World View-ს ერთ-ერთ პირველ რეისში. კონცერტისთვის მუსიკოსებს ჰერმეტულ კაფსულაში მოათავსებენ.

„ყოველთვის ვოცნებობდით კოსმოსში გამგზავრებაზე და მოხარულები ვართ World View-სთან თანამშრომლობით, რათა გამოვცადოთ ეს მოგზაურობა და მივიღოთ ახალი გამოცდილება“, — აღნიშნულია ჯგუფის განცხადებაში.

ᲑᲝᲜᲐᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲚᲝᲕᲐᲠᲘ

ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ნაპოლეონ ბონაპარტის დანა-ჩანგალი ინგლისში გამართულ აუქციონზე 11 250 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. ვერცხლის მოოქროვილი დანა-ჩანგალი ბონაპარტისთვის დაახლოებით 1810 წელს, პარიზში დაამზადეს.

მათზე იმპერატორის ინიციალი — N-ია ამოტვიფრული. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ დანა და ჩანგალი ვატერლოოს ბრძოლაში ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ მისი ეტლიდან აიღეს. აქამდე დანა-ჩანგალი უესტონების ოჯახში ინახებოდა, რომლებმაც ისინი 1920-იან წლებში შეინახეს.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲡ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲣᲡᲐᲯᲔᲡ

62 ᲬᲚᲘᲡ ირანელ რეჟისორ ჯაფარ პანაჰის, რომელიც ერთი კვირის წინ თეირანში დააკავეს, 6-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი. პანაჰიმ 2010 წელს გამოტანილი განაჩენით დაკისრებული სასჯელი უნდა მოიხადოს.

2010 წელს ჯაფარ პანაჰი მას შემდეგ დააკავეს, რაც მან საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაწყებულ ანტისამთავრობო პროტესტებს დაუჭირა მხარი. რეჟისორს „სისტემის წინააღმდეგ პროპაგანდის“ ბრალდებით 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, მას ასევე აეკრძალა ფილმების გადაღება და 20 წლის განმავლობაში ქვეყნის დატოვება. პანაჰიმ პატიმრობაში 2 თვე გაატარა, შემდეგ კი ის პირობით ვადამდე გაათავისუფლეს. მიმდინარე წლის 11 ივლისს პანაჰი კვლავ დააკავეს, როდესაც ის ციხეში მივიდა და დაკავებული რეჟისორების, მოჰამად რასულოფისა და მოსტაფა ალეახმადის შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა.

3 ᲗᲕᲔ — ᲐᲔᲠᲝ�პᲝᲠᲢᲨᲘ



ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲓᲐᲜ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ, ბოსტონის აეროპორტში ჩაყვანილი კატა, სახელად როუდი, პატრონს გაექცა და, 3 კვირის განმავლობაში, აეროპორტის ტერიტორიაზე ისე იცხოვრა, რომ ვერავინ დაიჭირა.

თითქმის ერთი თვის განმავლობაში, კატის დაჭერას ცდილობდა ყველა — დაწყებული აეროპორტში მომუშავე მუშებით და დასრულებული — მომსახურე პერსონალით. თანამშრომლებმა ვიდეოხაფანგებიც კი დაამონტაჟეს. კადრებში კატა რამდენჯერმე გამოჩნდა, თუმცა, მისი დაჭერა მაინც ვერ მოხერხდა. გარდა კამერებისა, აეროპორტში ცხოველების უსაფრთხოდ დაჭერისთვის შექმნილი ხაფანგებიც დადგეს. ესეც უშედეგო აღმოჩნდა. საბოლოოდ, კატა დანებდა. აეროპორტის თანამშრომლები ამბობენ, რომ, სავარაუდოდ, ცხოველმა მათ თავად მისცა დაჭერის უფლება, ვინაიდან დაიღალა და მოშივდა. როუდი პატრონს უკვე დაუბრუნეს.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 25 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.8281; ᲔᲕᲠᲝ - 2.8994
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.3994;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 5.0280; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1636;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.6700;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.7983.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 22 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +15, ᲓᲦᲔ +31
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +13, ᲓᲦᲔ +31
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +16, ᲓᲦᲔ +28
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +10, ᲓᲦᲔ +27
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲦᲐᲛᲔ +19, ᲓᲦᲔ +30

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge